ალია

N91 (3021) 17 ივნისი 2014 წ | ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## რატომ არ მივიდა ივანიშვილი არჩევნების დღეს „ოცნების“ ოფისში?



## რას უყვებიან „ალიას“ არჩევნებში ევროკავშირის ელჩ დიმიტროვის საიდუმლო მისიაზე



## აფსენტეიზმის შემთხვევაში, ეს არჩევნები თბილისში გარდაუვლად ჩაშლილად გამოცხადდებოდა

„რას უნდა ველოდოთ მეორე ტურში? „ქართული ოცნების“ გამარჯვებას, მაგრამ ეს სიხარულის საფუძველს არ უნდა აძლევდეს ხელისუფლებას“




## ლაშა ამირეჯიბი „ალიას“ საპატრიარქოს, „ოცნების“ და „ნაციონალების“ კულუარებს უყვება



## შალვა ნათელაშვილი: „ეს მარაზმი, როცა მოსახლეობის 30%-ზე მეტი არჩევნებზე არ მოდის, ლეგიტიმური არჩევნებია?“

„ევროპელი მეგობრებისგან ვითხოვთ, აიძულონ საქართველოს ხელისუფლება, დანიშნოს ხელახალი არჩევნები ორი თვის თავზე“



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა ვადაშია შესაძლებელი მეორე ტურის დანიშვნა



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის ინფორმაციით, კანონით განსაზღვრული ნორმებით მეორე ტურის დანიშვნა არჩევნებიდან ორ კვირაშია შესაძლებელი.

„კანონით გასაზღვრულია ორი კვირის ვადა. მას შემდეგ, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისია დადებს საბოლოო შედეგებს, მეორე ტურის დანიშვნა შეიძლება არჩევნების დღიდან ორი კვირის შემდეგ. ამ შემთხვევაში 15 ივნისიდან დაიწყება გადათვლა. თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუ მოესწრო ყველა პროცედურა, ვგულისხმობ საჩივრის განხილვას და ასე შემდეგ. როდესაც დაინიშნება მეორე ტური, მასში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პირველ და მეორე ადგილზე გასული კანდიდატები. აქ უკვე ბარიერის გადალახვა აღარ უწევთ. გამარჯვებულია კანდიდატი, რომელსაც მეტი ხმა ექნება", – განაცხადა ხმალაძემ.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, მეორე ტურის დანიშვნის მაქსიმალური ვადა 24 დღეა. ამ შემთხვევაში მეორე ტურის დანიშვნის ბოლო ვადა 28 ივლისია. (ნიუპოსტი)

## თოფჩიშვილს მარნეულში გამგებლად დარჩენა შეუძლია




მარნეულის ოლქში გამარჯვებულ „ქართული ოცნების" კანდიდატ მერაბ თოფჩიშვილს, რომელმაც არჩევნებამდე, რამდენიმე დღით ადრე კანდიდატურა მოხსნა, გამგებლად დარჩენა შეუძლია.

„როდესაც სუბიექტის მხრიდან კანდიდატურის მოხსნაზე იყო საუბარი, ჩვენ მაშინ განვაცხადეთ, რომ ეს გავლენას ვერ მოახდენდა საარჩევნო ბიულეტენის ჩამონათვალზე და საარჩევნო კომისია არჩევნების შემდეგ დაითვლიდა მის ხმებს, როგორც სხვა კანდიდატების შემთხვევაში. სწორედ ასე მოხდა. წინასწარი შედეგები ცნობილია, თუმცა უნდა დაველოდოთ საბოლოო შედეგების გამოცხადებას და ამის შემდეგ გვეცოდინება, რომელმა კანდიდატმა სად გაიმარჯვა. ვისაც ოფიციალური შედეგების მიხედვით ექნება 50%+1 ხმა, ის ჩაითვლება გამარჯვებულად. ამ შემთხვევაში, თავად კანდიდატის გადასაწყვეტია, რას მოიმოქმედებს", – განაცხადა ცესკოს პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა.

ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, თოფჩიშვილს გამგებლის არჩევნებში მხარი ამომრჩეველთა 52,48%-მა დაუჭირა. (ნიუპოსტი)

## ნიკა მელია დავით ნარმანიას დებატებში იწვევს



თბილისის მერობის „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი ნიკა მელია, „ქართული ოცნების" კანდიდატ დავით ნარმანიას დებატებში იწვევს.

„მე ვაგრძელებ ბრძოლას გამარჯვებისთვის. მე თავიდანვე ვაცხადებდი, რომ გამარჯვება გადის მეორე ტურზე, ამიტომ, რა თქმა უნდა, ვუშვებდი, რომ იქნებოდა მეორე ტური. მეორე ტურში მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მოვიპოვო გამარჯვება არა ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის, არამედ თბილისელებისთვის", – განაცხადა მელიამ. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული ოცნება" 50,97%-ით ლიდერობს

ცესკოს მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, საარჩევნო სუბიექტების პროპორციული შედეგებით, „ქართული ოცნება" 50,97%-ით ლიდერობს.

ცესკოს პრესსპიკერის ეკა აზარაშვილის განცხადებით, ცესკოს წინასწარი მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით 3637 უბნიდან, უკვე დათვლილია 3349. პარტიების რეიტინგი კი ამ ეტაპისთვის ასეთია: მეორე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობა" 22,22%-ით. „ბურჯანაძე – ერთიან ოპოზიციას" – 10.23% აქვს, „არასაპარლამენტო ოპოზიციას" – 2.22%, ლეიბორისტულ პარტიას – 3,42%, „პატრიოტთა ალიანსს" – 4,72% (ინტერპრესნიუსი)

## ელჩებს დარღვევები არ შეუნიშნავთო



საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დიპლომატებს შეხვდა და საარჩევნო გარემოზე ესაუბრა:

„შეხვედრა არჩევნების შეფასებას ისახავდა მიზნად, ასევე იმის აღნიშვნას, რომ ეს იყო ისტორიული დღე საქართველოსა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ისტორიაში, რადგან პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში. შეხვედრა ასევე ისახავდა მიზნად ელჩებისთვის ცესკო-ს ამ დროისთვის არსებული შედეგების გაცნობას. გვაინტერესებდა, როგორ ჩაიარა არჩევნებმა იმ უბნებზე, სადაც ისინი იყვნენ და საერთოდ, როგორ აფასებენ მთელ არჩევნებს. მათი მხრიდან აღინიშნა, რომ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია და ყველაფერმა მშვიდ და კარგ გარემოში ჩაიარა", – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

## ცესკო „ნაციონალების" მიერ გავრცელებულ სკანდალურ კადრებზე კომენტარს აკეთებს




ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსპიკერი, ეკა აზარაშვილის განცხადებით, ყველა ფაქტი, რომელიც არჩევნების პროცედურის დარღვევას ეხებოდა, შესწავლილი იქნება. მათ შორის, გიგი უგულავას მიერ მარნეულში არჩევნების გაყალბების ამსახველი კადრებიც.

„თუ ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით არსებობს დამადასტურებელი მასალა, საარჩევნო ადმინისტრაცია აუცილებლად მოახდენს შესაბამისი მასალის შემოწმებას, მოკვლევას და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს", – აღნიშნა აზარაშვილმა (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საწყენია, რომ „ნაციონალური მოძრაობა" კვლავ მეორე ადგილზეა"



უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის" მეორე ადგილზე გასვლას ამომრჩეველთა დაბალ აქტივობას უკავშირებს.

„საწყენია, რომ ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობის შედეგად, მეორე ადგილზე კვლავ „ნაციონალური მოძრაობა" გადის. ამავე დროს მისასალმებელია, რომ გამოიკვეთა რამდენიმე პოლიტიკური ძალა და ეს ყველაფერი მოწმობს იმას, რომ ხელისუფლება მოწადინებულია იმისთვის, იყოს თავისუფალი პოლიტიკური ველი, თავისუფალი კონკურენცია და გაიმარჯვოს მართლაც ღირსეულმა – ყოველგვარი ძალადობის, ხელის გადაგრეხის, მიტაცებების გარეშე. ძალიან შემრცხვებოდა, თუნდაც ერთი ხმა მიგვეთვისებინა გამარჯვებისთვის. როგორც ჩანს, ჩვენმა მოსახლეობამ ვერ გაათვითცნობიერა, ვერ გაითვალისწინა ის დიდი მნიშვნელობა, რაც ადგილობრივ არჩევნებს ახლდა, რომ ეს იყო საეტაპო არჩევნები, რომ ეს უნდა ყოფილიყო წერტილი მარათონისა, რომელიც 2012 წელს დაიწყო. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ პრობლემები ჩვენში უნდა ვეძიოთ. არ გამოვრიცხავ, რომ ვერ მივაწოდეთ, ვერ გავუჩინეთ ამომრჩეველს მოტივაცია. ბევრს, ალბათ, გულიც აუცრუვდა ბევრ რამეზე – ზოგს უსამართლოდ, ზოგს სამართლიანად. ჩვენც გამოვიჩენთ ზოგიერთ საქმეში ზოგჯერ ზედმეტი სიჩქარე, ზოგჯერ ზედმეტი დაგვიანება. ასევე პიარ-სამსახურებიც, ალბათ, იმ დონეზე ვერ იყვნენ, რომ გაკეთებული საქმეები მოსახლეობისთვის ბოლომდე მიეწოდებინათ და დაერწმუნებინათ იმაში, რაშიც გარკვეულწილად „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები დაოსტატებული იყვნენ", – განაცხადა ქანთარიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საარჩევნო უბანზე შეიარაღებულ თავდასხმაში ბრალდებული პირები დააკავეს



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მარტვილის რაიონის სოფელ დოშაყეში მარტვილის მე-16 საარჩევნო უბანზე მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმაში ბრალდებული 2 პირი დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ 15 ივნისს დაახლოებით დილის 06:00 საათზე შეიარაღებული პირები უბანში შეიჭრნენ, იარაღის მუქარით ბიულეტენები გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ გატაცებული ბიულეტენები დალუქულ მდგომარეობაში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვა. გამოძიება არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 162-ე მუხლით).

ხონის რაიონის სოფელ ძეძილეთში მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირებს ბრალი 163-ე მუხლით წარედგინათ, რაც საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლას გულისხმობს. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულები 15 ივნისს 20:30 წუთზე 22-ე საარჩევნო უბანში შეიჭრნენ, საარჩევნო ყუთი დააზიანეს და ბიულეტენები დახიეს. სამართალდამცველებმა აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება შეტყობინებისთანავე მოახდინეს, დაიკითხნენ შემთხვევის თვითმხილველები.

ასევე, დედოფლისწყაროს რაიონში საარჩევნო უბნებზე მომხდარი ხულიგნობის ფაქტებზე დაკავებულია სამი პირი. ორი პირი დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე, ღამით, საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში იმ დროს მივიდა, როდესაც იქ ამომრჩეველთა ხმების დათვლის პროცედურა მიმდინარეობდა. მათსა და საოლქო კომისიის წევრებს შორის წარმოიშვა ურთიერთშელაპარაკება, რაც შენობის გარეთ გაგრძელდა. ბრალდებულებმა საოლქო კომისიის წევრებს სიტყვიერი, ხოლო მე-7 საარჩევნო უბნის უფროსს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ხულიგნობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით). ხოლო დედოფლისწყაროში, გომელაურის ქუჩაზე, №3 ბაგა-ბაღში განთავსებულ №20 საარჩევნო უბანში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა ერთ-ერთ დამკვირვებელს, ურთიერთშელაპარაკებისას, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ პნევმატური იარაღიდან ჰაერში ერთხელ გაისროლა. გამოძიება ხულიგნობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველას, როგორც არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, ასევე მათ მხარდამჭერებს, თავი შეიკავონ პროვოკაციული ქმედებებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უწყებაში აცხადებენ, თითოეული სამართალდამრღვევი პირი კანონის შესაბამისად უმკაცრესად დაისჯება. (ნიუპოსტი)

## თბილისის საკრებულოს 25 მაჟორიტარული მანდატიდან 24-ს „ქართული ოცნების" კანდიდატები მიიღებენ



ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი ოფიციალური მონაცემებით, ერთადერთი საარჩევნო ოლქი, სადაც მაჟორიტარული წესით ჩატარებულ არჩევნებში „ქართული ოცნების" კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა, საბურთალოს მეორე საარჩევნო ოლქია, სადაც დამოუკიდებელი კანდიდატი ალეკო ელისაშვილი 33,59%-ით ლიდერობს.

რაც შეეხება რაიონებს, მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების" კანდიდატი ჯაბა ჯიშკარიანი 40,54%-ით ლიდერობს. ვაკეში ორივე მაჟორიტარულ ოლქში ყველაზე უკეთესი შედეგი ასევე „ქართული ოცნების" კანდიდატებმა – გიორგი მუსხელიშვილმა (47,44%) და გოჩა ბაბუნაშვილმა (42,08%) აჩვენეს. საბურთალოს სამი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან ორში „ქართული ოცნების" კანდიდატებმა – შორენა ბუხრაშვილმა (40,94%) და დავით ზურაბიშვილმა (46,52%) გაიმარჯვეს, ხოლო ერთში – დამოუკიდებელმა კანდიდატმა ალექსანდრე ელისაშვილმა. კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი (48,36%) იქნება, „ქართული ოცნებიდან". ისნის რაიონში სამივე მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვებულები, ასევე, „ქართული ოცნების" კანდიდატები – ილია ჯიშკარიანი (47,96%), ზურაბ ნეფარიძე (45,56%) და ირაკლი აბუსერიძე (48,15%) არიან. სამგორის 4 მაჟორიტარული ოლქის გამარჯვებულები, წინასწარი ინფორმაციით, ია მაკასარაშვილი (41,67%), ლევან დარახველიძე (42,62%), გულიკო ზუმბაძე (52,01%) და ლია ჯახველიძე (40.85%) გახდნენ. ჩუღურეთში „ქართული ოცნების" კანდიდატი რამინა ბერაძე 46.85%-ით ლიდერობს. დიდუბის ორ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ასევე „ქართული ოცნების" კანდიდატები – ვლადიმერ ძნელაძე (45,91%) და თარაშ შურღაია (44,23%) იმარჯვებენ. ნაძალადევის რაიონში 4 მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვებული „ქართული ოცნების" კანდიდატები კი – დავით ჭელიძე (47,21%), გივი გოგლიძე (50,02%), ზაზა კოლელიშვილი (41,25%) და ჯაბა სამუშია (43,59%) არიან. ასევე, ოთხივე საარჩევნო ოლქში ლიდერობენ „ქართული ოცნების" კანდიდატები გლდანში. აღნიშნულ რაიონში მაჟორიტარის მანდატებს კობა კობალაძე (44,65%), ნინო გოგუაძე (45,91%), მურთაზ მელია (39,13%) და ქეთევან ჯოხაძე (41,19%) აიღებენ.

თბილისის მასშტაბით თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში მეორე ადგილზე „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატები გავიდნენ. (ინტერპრესნიუსი)



# ლაშა ამირეჯიბი „ალიას“ საპატრიარქოს, „ოცნების“ და „ნაციონალების“ კულუარებს უყვება

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დაბალი აქტივობითა და მაღალი ინტრიგებით აღინიშნა. არჩევნებიდან მესამე დღეს უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება: მაგალითად, ამბობენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მარნეულში დავით ბერძენიშვილი გაგზავნა, რომელიც „ნაციონალებს“ ეხმარებოდა, მაგრამ არ გამოუვიდა, „ოცნების“ კანდიდატმა, მერაბ თოფჩიშვილმა მაინც გაიმარჯვა. თეა წულუკიანის თქმით, ასეთი სრულყოფილი საარჩევნო სია, ახლა რომ არის, არასდროს არ გვქონია. ყოჩაღ, სააკაშვილი, მაგარი სია დაგიტოვებია წულუკიანისთვის. ასმათ ტყაბლაძე აცხადებს, პირველზეც მე ვარ და მეორეზეც, მაგრამ ქართული პოლიტიკიდან მივდივარ, ძალიან ბინძური რამე ყოფილაო. გიგი უგულავა ამტკიცებს, ამ არჩევნებში არნახული ზეწოლა იყოო, როცა თვითონ იყო ზემოდან, ბუნებრივია, ზეწოლას ვერ გრძნობდა. და მაინც, რატომ მოხდა ისე, რომ ამ არჩევნებში თავი ყველას გამარჯვებული ჰგონია და დამარცხებას არავინ აღიარებს? რატომ მოხდა ისე, რომ „ნაციონალებს“ ყველა 7 პროცენტს უწინასწარმეტყველებდა და მათ 27 პროცენტი აიღეს?**

**„ალიას“ „სახალხო კრების“ წევრი, ლაშა ამირეჯიბი ესაუბრება:**

– გელა, ამ ქვეყანაში ყველას ავიწყდება რიჩარდ ნორლანდის პოზიცია, რომელიც ყველაფერს თავის ხოშზე აკეთებს.

**— რა გამოდის, პროცენტებს ყველას ნორლანდის დავთრების მიხედვით უწერენ?**

– ნორლანდს სურს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რაღაც პერიოდის შემდეგ უკან მოაბრუნოს. ეს არის ხელისუფლებისთვის მიცემული საშინაო დავალება. სამწუხაროდ, მისტერ რიჩარდს ავიწყდება, რას აკეთებდნენ „ნაციონალები“ 2012 წლის არჩევნებამდე – დაავიწყდა ცოცხების ამბავი, ცემა-ტყეპისა და წამების ამბავი, მკვლელობები.

**— ლაშა, ეგ ნორლანდს კი არა, მე მგონი, ქართველ ხალხსაც დაავიწყდა.**

– ამერიკელების პოზიცია ასეთია: ესენი დამნაშავეები არიან, მაგრამ უნდა აპატიოთო. თქვენს გაზეთში დაიბეჭდა იმის შესახებ, რომ მისმა უწმინდესობამ შეუთვალა ბიძინა ივანიშვილს, „ნაციონალები“ დამნაშავეები იყვნენ და როგორც შემეძლო, ვაკავებდი, მაგრამ შენ მიერ დატოვებულ გუნდს რა უნდა, ვერ გამიგია, უნდა მობრუნდე და სიტუაცია უნდა დაალაგოო. ეს სიმართლეა, საპატრიარქოში ამ თემაზე ლაპარაკი ნამდვილად იყო. მის უწმინდესობას უნდა, რომ ივანიშვილი დაბრუნდეს პოლიტიკაში და მეც მაგ აზრზე ვარ. ერთადერთი ამ კაცისა ეშინიათ ხელისუფლებაში, მან ურეიტინგო პოლიტიკოსებს ძალაუფლება ლანგარზე დაუდო და აჩუქა, მაგრამ ამათ ვერ გაურკვევიათ, საით მიდიან. სხვათა შორის, დავით ნარმანია მშრომელი კაცია და შეიძლება ყველაზე უკეთესი მერი იყოს, მაგრამ როცა ბიძინა ივანიშვილმა პირველად ამ პოსტზე კენჭისყრა შესთავაზა, მან უარი თქვა, მე თბილისელი არა ვარ, დედაქალაქი არ მიმიღებსო. მიუხედავად ამისა, კოალიციაში ნარმანია დაარწმუნეს და მისი კანდიდატურა მაინც დააყენეს. ხედავ, რა მოხდა მარნეულში? მე ამის შესახებ 6 თვის წინ ვყვიროდი, მიხედეთ ამ რაიონს-მეთქი. ჯერ „ნაციონალ“ იმამყულიევის მოხსნა მოინდომეს საარჩევნო მარათონიდან, ვერ მოახერხეს, სასამართლომ აღადგინა. ამის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, აქაც კანონს დაეჯახნენ, თოფჩიშვილი უკვე შეტანილი იყო ბიულეტენში. კი, ბატონო, ეთნოკონფლიქტის საშიშროება არსებობდა „ნაცმოძრაობის“ მხრიდან, მაგრამ საიდანაც უგულავები შემოგიტევენ, ყველგან უნდა დათმო? თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამით საშიშროებამ გადაიარა,



**„ეს სიმართლეა, საპატრიარქოში ამ თემაზე ლაპარაკი ნამდვილად იყო. მის უწმინდესობას უნდა, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდეს და მეც მაგ აზრზე ვარ. ერთადერთი ამ კაცისა ეშინიათ ხელისუფლებაში“**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## განახლებული დიზაინის დაბადების მოწმობების გაცემა დაიწყო



მოწმობების გაცემა სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებსა და იუსტიციის სახლებში 16 ივნისს დაიწყო. ახალშობილის მშობლებს უკვე აქვთ საშუალება შვილის დაბადების მოწმობა განახლებული, თანამედროვე დიზაინისა და სტანდარტის დოკუმენტის სახით აიღონ.

დაბადების მოწმობის შეცვლის შესახებ ბრძანება, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით გამოსცა, რის საფუძველზეც შემუშავდა დაბადების მოწმობის განახლებული, მაღალი სტანდარტის დიზაინი. აღსანიშნავია, რომ დღემდე იუსტიციის სახლებსა და სერვისების განვითარების სააგენტოებში აღნიშნული დოკუმენტი სტანდარტული „ა 4“ ფორმატის ფურცლის სახით გაიცემოდა, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

დაბადების პირველადი მოწმობა კანონით გათვალისწინებული საბუთების წარდგენიდან მეორე დღეს უფასოდ გაიცემა. მათთვის კი, ვისაც სურვილი აქვს დაბადების რეგისტრაციის მოწმობა ახალი დიზაინის მქონე, თანამედროვე დოკუმენტის სახით ჰქონდეს, სერვისების განვითარების სააგენტოებისა და იუსტიციის სახლის ფილიალებს უნდა მიმართონ. განმეორებითი დაბადების მოწმობის აღების ღირებულება 2 ლარს შეადგენს.

დაბადების მოწმობა უკვე მეორე დოკუმენტია, რომელიც იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განახლდა. მაისიდან იუსტიციის სამინისტრომ მოსახლეობას უკვე შესთავაზა განახლებული ქორწინების მოწმობა საზეიმო დოკუმენტის დიზაინით. (ნიუპოსტი)

## ირაკლი ოქრუაშვილი: მეორე ტური გარდაუვალია



„ქართული პარტიის“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, გორში არჩევნების მეორე ტური გარდაუვალია და ის მის გუნდთან ერთად ბრძოლას ბოლომდე აპირებს.

„მიუხედავად იმისა, რომ მე არ მომეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება და მოგვიწია ფორსმაჟორულ სიტუაციაში მუშაობა, დავაყენეთ სხვა კანდიდატი. მიუხედავად იმისა, რომ დაგვიპირისპირდა საკმაოდ ძლიერი სახელისუფლებო რესურსი, საკმაოდ დიდი ფულადი მასა, შედეგს ჩვენ არ ვთვლით წარუმატებლად. საკმაოდ კარგი შედეგია. დაახლოებით 35-30 პროცენტის ფარგლებში ვართ პროპორციული სისტემის არჩევნებში, მერობის კანდიდატებთან მიმართებაში 40-30%-ზე ვართ. მეორე ტური გარდაუვალია. დაახლოებით 1400 ხმის სხვაობით ლიდერობს ჩვენი კონკურენტი კანდიდატი, მაგრამ ამით არაფერი არ იცვლება, ბრძოლას ჩვეულებრივ ვაგრძელებთ. სამწუხაროდ, ჩვენი ამომრჩეველი დაიმედდა და ჩათვალა, რომ გამარჯვება მიღწეული გვქონდა და არ მივიდა უბნებზე, რაც შეიძლება ცუდი მუშაობის შედეგიც იყოს. თუმცა ყველაფერი წინ არის. მეორე ტურისთვის ვიბრძოლებთ ყველგან. მეორე ტურში ვიბრძოლებთ როგორც ქალაქში, ისე თვითმმართველ თემში“, – განაცხადა ოქრუაშვილმა. (ნიუპოსტი)

## კომისიის წევრების კვალიფიციურობის დონე აამაღლეთო...

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ ცესკო-ს მოუწოდებს, კომისიის წევრების კვალიფიციურობის დონე აამაღლოს.

„ორგანიზაცია თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისის 55 საარჩევნო უბანს დააკვირდა. ოთხი მობილური ჯგუფი დედაქალაქის სხვადასხვა უბანზე დილის 09:00-დან საღამოს 20:00 საათამდე მოძრაობდა. აქტივობისა და არჩევნების მიმდინარეობის კუთხით ორგანიზაციამ სულ 3 შუალედური შედეგი გამოაქვეყნა 12:00, 17:00 და 19:00 საათის მდგომარეობით. ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობდა მშვიდ და თავისუფალ გარემოში. ამომრჩევლების მხრიდან რაიმე სახის პროვოკაციასა და არჩევნების მიმდინარეობაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საუბარი მიმდინარეობს არჩევნების განსაკუთრებით დაბალ აქტივობაზე, რომელსაც ვერ დავეთანხმებით. 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების აქტივობა შეადგენდა 47%. ცესკოს მონაცემებით, 2014 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 43.31%-ს შეადგენს. ფაქტია, რომ რეალურად წინა თვითმმართველობის არჩევნებს, უკანასკნელი არჩევნები 3.69%-ით ჩამოუვარდება. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომელიც 2010 წლისთვის უკავშირდებოდა ამომრჩეველთა სიებს და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აღმოჩენილ უამრავ ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არსებობას...

ორგანიზაციამ გააანალიზა არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ დღის განმავლობაში გამართული ბრიფინგები და დაფიქსირდა, რომ დარღვევების აბსოლუტური უმრავლესობა, დაახლოებით 80-90% უკავშირდება საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ ტექნიკური ხასიათის დარღვევებს. მსგავსი შემთხვევები 2013 წლის არჩევნებშიც იყო და ამაზე რეკომენდაციითაც მივმართეთ საჯარო სივრცეში ცესკოს, რათა მეტი ყურადღება დათმობოდა კადრების კვალიფიციურობაზე ზრუნვას. ვერ ვიტყვით, რომ ცესკოს მხრიდან ამ საკითხის დარეგულირებას ყურადღება არ დაეთმო, თუმცა პრობლემები ისევ რჩება. შესაძლებელია, რომ ეს დარღვევები პროვოცირებულიც იყოს, რადგან დესტრუქციული ძალები ამ არჩევნებშიც ინარჩუნებდნენ გავლენებს ამა თუ იმ საარჩევნო ოლქებში.

მივმართავთ ხელისუფლებას, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იყოს კიდევ უფრო დემოკრატიული და თავისუფალი, რათა ქვეყნის ინტეგრაცია დასავლურ სტრუქტურებში გახდეს შეუქცევადი პროცესი. გამოვლენილი დარღვევები, რომელიც დაფიქსირდა მარტვილში და ანაკლიაში მყისიერად იქნას გამოძიებული და გატარდეს კანონის შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებები. ორგანიზაცია მოუწოდებს ცესკოს, საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული დრო ეფექტურად გამოიყენოს და კომისიის წევრების კვალიფიციურობის დონე აამაღლოს სათანადო სტანდარტამდე, რათა ამომრჩეველს არ შეექმნას დისკომფორტი არჩევანის გაკეთების დროს...“ (ნიუპოსტი)

მესამე გვერდიდან

ძალიან ცდება, მე დამირეკეს მარნეულიდან და მითხრეს: თოფჩიშვილმა კი გაიმარჯვა, მაგრამ ჩვენ მაინც არ გავჩერდებითო.

**— კონკრეტულად ვინ დაგირეკა?**

– იმამყულიევის ხალხმა, ეროვნებით აზერბაიჯანელებმა. ძალიან არეულია სიტუაცია და უფრო მეტი საშიშროება არსებობს, იძახიან, უკან არ დავიხევთო.

**— რას ჰქვია, უკან არ დავიხევთ, ეს სახელმწიფოა თუ ბოსელი?!**

– მეც სწორედ მანდ ვარ, როდესაც ქვემო ქართლში პროვოკაციები მზადდებოდა, სად იყო ჩვენი უშიშროება? საერთოდ ინფორმაცია ჰქონდათ? რაც ხდებოდა მანამდე გარდაბანში, რაიმე ზომები მიიღეს?



**„ხადური ჰყავთ მხოლოდ ხელის მომწერად. კარგად დამიგდე ყური, ფინანსური პოლიცია საერთოდ არ ემორჩილება ნოდარ ხადურს. მე მაქვს ამის ფაქტები, ორი თვის წინ ფინანსურმა პოლიციამ დაიწყო ერთი საქმე არაკანონიერად, მე დავურეკე ხადურს, რომელიც აზრზე არ იყო“**

**— უშიშროებას ინფორმაცია რომ ჰქონდა, „ქართულმა ოცნებამ“ ამიტომ მოხსნა თავისი კანდიდატურა თეორიულად.**

– გარდაბანში ძლივს ავიცილეთ კონფლიქტი, ყველაფერი იყო „ნაციონალების“ მოწყობილი. რომ არა ქვემო ქართლის გუბერნატორი, გიორგი მღებრიშვილი, იქ დიდი ამბები დატრიალდებოდა. ამ ადამიანმა დიდი ენერგია დახარჯა, რომ კონფლიქტი არ გაღვივებულიყო, მაგრამ ახლა მარნეულში აპირებენ და გაინტერესებს, ვინ დგას იმამყულიევის უკან, ანუ ვინ აპირებს სიტუაციის არევას? ესენი არიან: დათო კირკიტაძე, გიგი უგულავა, ვაჟა ლელუაშვილი. ასევე არის ერთი საინტერესო კაცი, ირაკლი ღარიბაშვილის თანაშემწე ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებში, სავალან მირზოევი. ამ საქმეში ჩარეულია ვინმე შახბაზოვი, მარნეულის გამგებლის ყოფილი მოადგილე, რომელიც დაჭერილი იყო ქრთამის აღებაზე და გამოუშვეს. ეს ადამიანი ელოდებოდა, რომ „ნაციონალები“ გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა გადავა მოქმედებებზე.

მოკლედ, აქ ძალიან სერიოზული ძალები არიან ჩართულები. მიუხედავად იმისა, რომ მერაბ თოფჩიშვილი კარგა ხანს კუდ-ში მუშაობდა, მაინც მაგარი ქართველია, არ დაემორჩილა „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას და არჩევნები მაინც მოიგო. ახლა, როცა მე და შენ ვლაპარაკობთ, იმამყულიევმა და „ნაცებმა“ უკვე დაიწყეს გაყალბებაზე ყვირილი, ატრიალებენ რაღაც ვიდეოებს. ეს ამბავი ისე არ ჩაივლის, გეუბნები, იმუქრებიან, ამას არ დავთმობთო. ახლა ხელისუფლებამ უნდა აიღოს ყველაფერი თავის თავზე და ჩართოს თავისი ძალები. მაგათ უნდა ჰქონოდათ ამის შესახებ ინფორმაციები და არა ლაშა ამირეჯიბს. მე რომ მირეკავენ, პირველ რიგში მაგათთან უნდა დარეკონ. იცი, რა მითხრეს? ასეთი დაპირისპირება აქ არასოდეს ყოფილა, თუ ხელისუფლება ფხიზლად არ იქნება, უბედურება მოხდებაო.

ახლა საფიქრალია ისიც, რომ ამ არჩევნებზე ძალიან დაბალი აქტივობა იყო, ხალხი განაწყენებულია, მრევლი განაწყენებულია ანტიდისკრიმინაციული კანონის გამო, არავინ არ გაითვალისწინა უწმინდესის თხოვნა. მე ასეთ შედეგს ველოდი, ხალხისთვის სამართლიანობა აღდგა? გულგატეხილი ხალხი არ მივიდა არჩევნებზე, 2012 წელს მოხუცები გამოჰყავდათ თავიანთი ოჯახის წევრებს, რომ ხმა მიეცათ ბიძინა ივანიშვილისთვის. რიგები იდგა. ივანიშვილი ახლა ვალდებულია, თავიდან მობრუნდეს პოლიტიკაში და თავიდან დაალაგოს ყველაფერი. არიან მინისტრები, რომლებსაც არავინ არაფერს ეკითხება. მაგალითად, ნოდარ ხადური, ეს ადამიანი დევს სკამზე და ვერ აკონტროლებს თავის სამინისტროს. ფინანსურ პოლიციას საერთოდ სხვა მართავს, ეს უწყება იმართება გარედან.

**— რას ჰქვია, გარედან, „ნაციონალები“ მართავენ?**

– არა, იმართება გარედან, ვინ აკონტროლებს, ეს სხვა საკითხია. ერთი რამ ცხადია, ხადური ვერაფერს ვერ წყვეტს.

**— ფაქტები დადე.**

– ხადური ჰყავთ მხოლოდ ხელის მომწერად. კარგად დამიგდე ყური, ფინანსური პოლიცია საერთოდ არ ემორჩილება ნოდარ ხადურს. მე მაქვს ამის ფაქტები, ორი თვის წინ ფინანსურმა პოლიციამ დაიწყო ერთი საქმე არაკანონიერად, მე დავურეკე ხადურს, რომელიც აზრზე არ იყო. დარეკვა და სიტუაციის გართულება ერთი იყო. ბევრი რამე კეთდება ირაკლი ღარიბაშვილის გვერდის ავლით.



**„ირაკლი ღარიბაშვილის გარემოცვაში ბევრი რამეა შესაცვლელი, კოალიციაში ვინც არ უნდა გააფუჭოს საქმე, ყველაფერს დაჰკიდებენ პრემიერ-მინისტრს. როცა ყვარელში ზურაბ ადეიშვილის მამა იმარჯვებს და ღარიბაშვილს ეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგადაა, გამოდის, გარშემო ჰყავს მტრები“**

**— ისე, ამ არჩევნებმაც აჩვენა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გუნდში ბევრი რამეა შესაცვლელი.**

– მე კიდევ ერთხელ ვამბობ: „ნაციონალების“ თითოეული ნაბიჯი შეთანხმებულია ამერიკის ელჩთან. ესენი ყველაფერს გააკეთებენ, რომ თავიანთი ბოლომდე გაიტანონ. დაუკვირდი, თითქმის იგივე პროცენტები დაჯდა, რაც საპრეზიდენტო არჩევნებში, ცოტა წაუმატეს „ნაციონალებს“, ნინო ბურჯანაძეს რაც ჰქონდა, დაუტოვეს. იმაშიც გეთანხმები, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გარემოცვაში ბევრი რამეა შესაცვლელი, კოალიციაში ვინც არ უნდა გააფუჭოს საქმე, ყველაფერს დაჰკიდებენ პრემიერ-მინისტრს. როცა ყვარელში ზურაბ ადეიშვილის მამა იმარჯვებს და ღარიბაშვილს ეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგადაა, გამოდის, გარშემო ჰყავს მტრები. არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს ყველაფერი „ნაციონალებთან“ არის შეთანხმებული. პრემიერ-მინისტრის გარემოცვა გასაწმენდია და რაღაც რადიკალური ზომებია მისაღები, თორემ საბოლოოდ მივიღებთ ასეთ სურათს: მტრები გაძლიერდებიან, ღარიბაშვილი – დასუსტდება, მის სახელს დღეს ბევრი ეფარება, მის სახელს დღეს ბევრი იყენებს, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ასეთები განზე გადგებიან. რაც ახლა ხდება, ეს პოლიტიკური კომბინაციები კი არა, ინტრიგები და პროვოკაციებია. ბოლოს და ბოლოს, ვთქვათ პირდაპირ, კოალიციაში „რესპუბლიკელებსა“ და სხვებს პოლიტიკურ სიბინძურეში დიდი გამოცდილება აქვთ, ამდენ შიდა და გარე დარტყმებს ღარიბაშვილი ველარ უძლებს, ისეთ რაღაცებს უკეთებენ, ბევრ რამეს თვითონაც ვერ ხვდება. მე გული მტკივა, რომ ასეთი რაღაცები ხდება.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხალხის პასუხი რობერტ სტურუას

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა თვითმმართველობის არჩევნების წინასწარ შედეგებს „ფეისბუკში“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა, რასაც მკითხველთა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება მოჰყვა.

რობერტ სტურუა: ნაწყენი საქართველო არჩევნებზე არ გავიდა, აბა, რა!



1. ორი წელი გავიდა და ფული არავინ დაურიგა;
2. ბინები არ მისცეს;
3. ბიზნესმენებს აღარ იჭერენ;
4. მოსავალი ისევ თვითონ უნდა მოიყვანოს;
5. აღარავინ არბევს;
6. ქარხნები ისევ დგანან: არავინ უშენებს;
7. ცოლები ისევ დაუკმაყოფილებლები დაბოდიალობენ;
8. არავინ არავის იჭერს!
9. კაცების გაუპატიურება შეწყდა!

ამაზე „ოცნებობდა“ ერი?!

ფურთხის კი არა, ყველაფრის ღირსი ხარ, უბადრუკო!

ნუთუ, ისევ უცდი სამხრეთელ პრეზიდენტს, ისევ დედა რომ მოგიტ...ნას?

მაშინ სასწრაფოდ ჩეჩმაში, ისტორიის ჩეჩმაში ყოფილა შენი ადგილი.

გული მტკივა... შენ კი გიხარია... ნაწყენი...

**ფეისბუკმეგობართა გამოხმაურება**

Nato Chxartishvili: თქვენს სიტყვას დიდ პატივს ვცემ, მხოლოდ ჩემს მოსაზრებას ვიტყვი... ერთი გუნდი ვერ ჩამოყალიბდა... იმიტომ რომ სრული გაღორება დაემართა... ყველას არ ვგულისხმობ, უმეტესობას... ერთგული და სოლიდარული ადამიანები მოისროლეს... ერთმანეთის ჩრდილის ეშინიათ და დაავიწყდათ, ეტყობა, იგავი ისრების შესახებ...

Qeti Melqadze: „კოჰაბიტაცია“ დაგავიწყდათ, ბატონო რობერტ. „ფოჩიან კანფეტებს“ არც არასოდეს ველოდებოდი, მაგრამ კრიმინალის ადგილი რომ ციხეშია, მგონი, დამეთანხმებით. კრიმინალთან „სიმბიოზი“ უკვე კრიმინალია.

Irakli Iashvili: ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ: მიხეილა ნაბიჭვარი 19 მილიარდით პაბეგშია და გრიალებს, სქელტრაკა უგულავა აქვე გრიალებს ამ დროს კვიციანი ციხეშია... ორი წელი გავიდა და პასუხი ამ ნაცხროვიდან არავის უგია, პირიქით ხდება, „ოცნებაში“ ძვრებიან და ისევ ზემოთ ჯდებიან. ერთი სიტყვით, რაღაც ლპება ისევ დანიის სამეფოში...

ცეტი Mელქადზე: ორი წელი გავიდა და 1. წართმეული ქონება უკან არავის დაბრუნებია. 2. ბიზნესმენები ისევ ისე კვებავენ ხელისუფლებას, თავისდა სასარგებლოდ. 3. მოსავალს ისევ თავად მოიყვანენ, ამის საშუალება თუ ექნებათ და თუ სახელმწიფო დაიცავს გლეხს, თუნდაც უამინდობის შემთხვევაში. 4. საპროტესტო გამოსვლები არ ყოფილა და დარბევებზე ლაპარაკი ნაადრევია. 5. ქარხანას უფულო კაცი ვერ ააშენებს. სამუშაო ადგილები კი არ შექმნილა მათთვის, ვინც პოლიტიკაში არ დაბოდიალობს. 6. გეთანხმებით, კრიმინალები დაუსჯელად ნავარდობენ. 7. ცოლების დაუკმაყოფილებლობა ხელისუფლების შეცვლით ვერ შეიცვლებოდა. 8. კაცების გაუპატიურების ამბავი საკმაოდ გვიან გახმაურდა და დღევანდელი მონაცემები უცნობია. დანარჩენებში გეთანხმებით, უბადრუკია ერი, სადაც ულირსი ხელისუფლება არ იცვლება.

Jumber Kirvalidze: „რობერტ, ტი ნე პრავ“!!!!

Eka Burjanadze: „ოცნების“ ოფისებიდან არჩევნების მოგების შემდეგ მადლობის გარეშე გამოყარეს ხალხი, წართმეული ქონება არ დააბრუნეს, მეტიც, არც არასდროს დაგპირებივართო, იმაზე მეტი გაგიკეთეთ, ვიდრე დაგპირდითო (ცინიზმი), ნაციონალები პარპაშებენ, ყველა საჯარო სამსახურში ბედნიერად განაგრძობდნენ მუშაობას, დარბაისელი, ყავლაშვილი და მისთანები ასტრონომიული თანხებით დააჯილდოვეს და ამას წახალისება და გადაცდომა უწოდეს... მე არ წავედი არჩევნებზე და მეც მაპატიონ ეს გადაცდომა, მომხდარი გააანალიზონ...

Roland Matiashvili: მხოლოდ იმაში ვეთანხმები ბატონ რობერტს, რომ უვარგისი ერი ვართ... რეალობაში კი მოსახლეობა ნაწყენი კი არა, ზედ რომ არ გადაუვლის ხელისუფლებას, ის მიკვირს. უამრავი მიზეზია ზედგადავლის, რომელი ერთი ჩამოვთვალო, თუნდაც დაუმსახურებელი პრემიების აღება. მაგ ავადმყოფებმა რა სინდისით გამოიწერეს ათასობით პრემია ამ გაღატაკებული ხალხის შემხედვარე. სინდისი გვერდით გადავდოთ, არც ჰქონიათ და რა მოვკითხოთ, მაგრამ ჩვენ, უბადრუკ ხალხს, ის მაინც არ უნდა მოგვეკითხა, რა დამსახურებით, რა შრომისთვის აიღეს ეს „პრემიები“, ბიუჯეტიდან, როდესაც ამდენი გაჭირვებულია..? რამდენ კარგ საქმეს მოხმარდებოდა ეგ ასი ათასები, მაგ ნაბიჭვრებს რომ არ აეღოთ?! სწავლის გადასახადებს სტუდენტებისთვის, ძალიან ჩავარდნილ ავადმყოფს, ვისაც, ვინ იცი,ს ხილი როგორ ენატრება და ოჯახს მისი საყიდელი ფული არ აქვს.. ა რამდენი ასეთია ჩვენს გარშემო. პირადად მე როგორი იმედი მქონდა შეღავათიანი კრედიტის და სოფლის მეურნეობაში ჩაბმის. მაგრამ ვის ახსოვხარ, ვინ დარდობს ხალხისთვის.. დაებრუნებინათ ნაბიჭვარი ნაცებისგან მოპარული ფული და დაერიგებინათ სოფლის მეურნეობაში... აი, მაშინ გამოვიდოდა ხალხი არჩევნებზე და ნამდვილი გამარჯვება ეგ იქნებოდა!

Irakli Iashvili: მიშარასტებს რაც შეეხებათ: როგორც კი ამ ხელისუფლების ნდობა საბოლოოდ დაიკარგება, მიშარასტებზე ქუჩებში „ატსტრელი“ დაიწყება. ახალი ხელისუფლებისთვის კი ეს 70%-იანი პროტესტი გაკვეთილი უნდა იყოს საპარლამენტო არჩევნებისთვის. მე არ ვიყავი არჩევნებზე შეგნებულად, მეორე ტურში წავალ და „ოცნებას“ მივცემ ხმას, არა იმიტომ, რომ „ოცნების“ კანდიდატი მომწონს, არამედ მიშარასტების წინააღმდეგ – ესაა მოტივი (ამ მოტივით ბევრი წავა მეორე ტურზე) მაგრამ... ამ მოტივით რომ ხმას მოგცემენ, კაკ მინიმუმ უნდა შეგრცხვეს...

Roland Matiashvili: დიახ, არც მე ვიყავი, თუმცა კი იძულებული ვარ, წავიდე, რომ ნაბიჭვარი ნაცები არ გავახარო, მაგათი დედები... არ მეგონა, თუ ამდენი იყო ნაწყენი, ხალხი მართლაც სამართლიანია.

Mamuka Dolidze: ხალხი ტყუილს აღარ იჯერებს, ჯობია სიმართლე ილაპარაკო და რაც შეუძლიათ, იმის გაკეთებაზე ეთქვათ თანხმობა, ნაწყენი კი არა, მოტყუებულები არიან! და დღემდე ყველა კანდიდატი დაბოლებაზეა გადასული.

George Burji: ქართველი ერი უკვე სწორად აზროვნებს, პრაგმატულად ხედავს საფრთხეებს და იღებს სწორ გადაწყვეტილებებს. ეს არ არის 90-იანი წლებივით ემოციებზე და პოლიტიკურ სპეკულაციებზე ადვილად წამოსაგები ელექტორატი... აშკარად ჩანს, რომ საარჩევნო ძალადობა, ფართომასშტაბიანი გაყალბებების ფორმით დამთავრდა, მაგრამ მისი ჩანაცვლება მოინდომეს ფსევდოდემოკრატიული, ვითომ სამართლიანობის მაძიებელი თუ პატრიოტული ძალებით, ამომრჩეველი სწორად გაერკვა სიტუაციაში და უარი თქვა ამ ფარსში მონაწილეობაზე, რაც არსებული პოლიტიკური ისტებლიშმენტის დასასრულს ნიშნავს. ხალხმა უარი უთხრა კაგებეშნიკურ შევარდნაძისტულ ეპოქას, თუმცა ბნელი ძალებს სამსახურში ჯერ კიდევ დგას სერიოზული პროპაგანდისტული მანქანა!.. (თბილისში არ მივიდა 70%-ზე მეტი). თბილისის შედეგები სერიოზულ შანსს გვაძლევს წესიერი ბიოგრაფიის, ნამდვილად დემოკრატიულ, დასავლური ღირებულებების მქონე ძალებს! ახალგაზრდა პოლიტიკოსების თაობას, პოლიტიკაში ღირსეული დაბრუნებისა და დამკვიდრებისთვის!

დაბოლოს, მთავარი, კიდევ ერთხელ, რაც ამ არჩევნების შედეგად დამტკიცდა: ქართველმა ამომრჩეველმა, მიუხედავად „პროპაგანდონების“ დიდი მცდელობისა, უარი უთხრა არსებულ პოლიტიკურ ძალებს!!!!! (ნიუპოსტი)

# თქვენ ჯერ არ გაქვთ „ტექნო ბუმის“ გათამაშების ბილეთები? უნდა იჩქაროთ!

## „მადლობა „ტექნო ბუმს“ არა იმიტომ, რომ ასეთი პრიზი მოვიგე, არამედ იმიტომ, რომ რწმენა დამიბრუნა, მომავლისა და იღბლიანობის იმედი“

– არასოდეს არაფერი მომიგია და არც მქონია იმის იმედი, რომ ოდესმე ბედი მეც გამიღიმებდა რამეში, თუმცა „ტექნო ბუმის“ გათამაშებაში გამარჯვებით ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა – ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ, მომავლის რწმენით გაჟღენთილი, – ამბობს თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა ალისუბნის მკვიდრი დავით ბუცხრიკიძე და რთულია, ადამიანს მისი ასეთი ამაღლებული განწყობა არ გადმოგედოს. რაც მთავარია, დავით ბუცხრიკიძე არ არის ერთადერთი, ვის ცხოვრებაზეც „ტექნო ბუმის“ გათამაშებამ ასეთი გავლენა მოახდინა და საკუთარი ბედის გამოცდის საშუალება კიდევ არაერთ ადამიანს მიეცემა...

ყველაფერი კი 20 მარტიდან დაიწყო, როცა „ტექნო ბუმმა“ საქართველოში პირველი მასშტაბური გათამაშების დაწყება დააანონსა, რომელიც 10 თვის განმავლობაში გაგრძელდება და მომხმარებლებს საოცნებო პრიზების მოგების შანსს მისცემს.

და თქვენ ჯერ არ გაქვთ „ტექნო ბუმის“ გათამაშების ბილეთები? უნდა იჩქაროთ, რადგან, რაც უფრო დროულად მიიღებთ ბილეთებს, გამარჯვების შანსიც მით მეტი გექნებათ.



„სონის“ LED-ტელევიზორი კი გათამაშების გამარჯვებულს – ნინო ნოზაძეს ვერ გადაეცა, რადგან მან მოგებული ბილეთის ნაწილი დაკარგა. ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი რეგლამენტის მიხედვით, კომპანიას არ აქვს უფლება, მოგებული ნივთი ბილეთის გარეშე გასცეს.

„ტექნო ბუმის“ გათამაშების მეორე ეტაპი 7 ივნისს გაიმართა, სადაც ასევე გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მათ შორის ბინის მფლობელი თერჯოლაში მცხოვრები დავით ბუცხრიკიძეა, ხოლო ავტომობილი „მერსედეს-ბენცი“ გლდანში მცხოვრებ ნინა იაკოვლევას გადაეცემა. ყველა გამარჯვებულს დაჯილდოების ცერემონიალი „ტექნო ბუმის“ დიღმის ცენტრში მიმდინარე თვის ბოლოს გაიმართება.

**დავით ბუცხრიკიძე, გათამაშების გამარჯვებული:**

– ცხოვრებაში არასოდეს არაფერი მომიგია და სიმართლე გითხრათ, არც კი ვიჯერებდი, რომ ვიღაც მართლა იგებდა, რადგან ვფიქრობდი, ყველაფერი წინასწარ იყო ჩაწყობილი. ახლა საკუთარ მაგალითზე დავრწმუნდი, თურმე, ბედმა ყველას შეიძლება გაუღიმოს. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, მომავლის რწმენა დამიბრუნდა, იმის რწმენა გამიჩნდა, რომ იღბლიანი ვყოფილვარ, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება შეიძლება ჩემს ოჯახსაც ეწვიოს.

დიდი მადლობა „ტექნო ბუმს“ არა იმიტომ, რომ ასეთი პრიზი მოვიგე, არამედ იმიტომ, რომ რწმენა დამიბრუნა, მომავლისა და იღბლიანობის იმედი. ახლა ღმერთს იმას ვთხოვ, ყველამ გამოსცადოს ისეთივე ბედნიერება, როგორიც მე მარგუნა...

უფრო რომ დავაზუსტოთ, „ტექნო ბუმის“ გათამაშებას ასეთი პირობები აქვს:

პირველ რიგში, ის უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგების შანსს „ტექნო ბუმი“ თითოეულ მომხმარებელს აძლევს, რადგან თამაშდება – 1000 სმარტფონი, 1000 პლანშეტური კომპიუტერი, 100 მაცივარი, 100 სარეცხი მანქანა, 100 გაზქურა, 100 LED ტელევიზორი და რაც ყველაზე მთავარია:



დალი ბოლქვაძე

ყოველთვიურად „ტექნო ბუმი“ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში 2-ოთახიან ბინას (თბილისში) და ავტომობილ „მერსედეს-ბენცს“ ათამაშებს, ხოლო ფინალურ გათამაშებაში ნახევარი მილიონი ლარის მოგების შანსი გექნებათ!!!

ასევე, პირდაპირ ეთერში გათამაშდება პლანშეტური კომპიუტერები, LED-ტელევიზორები და სხვა შესანიშნავი პრიზები.

**ვახტანგ გურწკაია, გათამაშების გამარჯვებული:**

– სოხუმელი გახლავართ, ახლა კი გასაგები მიზეზების გამო, მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი ოჯახთან ერთად ფოთში ვცხოვრობ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ლტოლვილისთვის ასეთ საჩუქარს!.. ორი შვილი მყავს, ჩემო ბატონო, ხუთი შვილიშვილი და ყველა ისეთი ბედნიერია, ისეთი გახარებული, ჩვენი ლოცვა არ მოაკლდება არც ერთ ადამიანს, ვისაც იდეა გაუჩნდა, რომ საწყალი ხალხისთვის ასეთი საშუალება მიეცა.



ვახტანგ გურწკაია

გათამაშების პირობების თანახმად, ყველა მომხმარებელი, რომელიც „ტექნო ბუმის" ქსელში 50 ლარის ან მეტი ღირებულების ტექნიკას შეიძენს, ერთ ნივთზე ერთ ბილეთს მიიღებს. თუ გადასაშლელი საფარის ქვეშ მოგებას მომენტალურად აღმოაჩენს, მოგებულ ბილეთს აბარებს და მას მოგებული საჩუქარი ადგილზევე გადაეცემა. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი აღმოაჩენს „მოიგე შანსი", ბილეთის მოსახევ ნაწილზე ავსებს სახელს, გვარს, მობილური ტელეფონის ნომერსა და პირად ნომერს და ათავსებს დოლურაში. აღნიშნული ბილეთი მონაწილეობას მიიღებს როგორც ყოველთვიურ, ასევე ფინალურ გათამაშებაში.

აღსანიშნავია, რომ „ტექნო ბუმის“ გათამაშება უპრეცედენტოა გათამაშების შანსის მიხედვით. ყველა ბილეთი როგორც ყოველთვიურად, ასევე ფინალურ გათამაშებაში განმეორებით მონაწილეობს. იმ მომხმარებლებს, რომლებმაც ტექნიკა პირველივე თვიდან შეიძინეს, მოგების 10 შანსი აქვთ, შემდეგ თვეში – 9 შანსი და ასე შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ, რაც უფრო ადრე შეიძენთ ტექნიკას, გათამაშებაში მონაწილეობის შესაძლებლობა მით უფრო მეტჯერ მოგეცემათ.

„ტექნო ბუმის“ პირველი გათამაშება 3 მაისს გაიმართა. თბილისში ოროთახიანი ბინა ხელვაჩაურის რაიონში მცხოვრებმა დალი ბოლქვაძემ მოიგო, ავტომობილი „მერსედეს-ბენცი“ – ფოთელმა ვახტანგ გურწკაიამ, პლანშეტური კომპიუტერი – თბილისის მაცხოვრებელმა დავით ჩადუნელმა, ხოლო iPhone 5S – ბათუმელმა დარეჯან ჭელიძემ.



ნინა იაკოვლევა

**— სხვა დროს თუ მოგიგიათ რამე, ბატონო ვახტანგ?**

– არა, ბატონო, არაფერი არასოდეს! არც ის მიფიქრია არასოდეს, რომ ასე გამიმართლებდა. მით უმეტეს, ერთი მტვერსასრუტი ვიყიდეთ, ერთი ბილეთი გვქონდა და აგერ, როგორი ავტომობილი მოვიგეთ. ძალიან გთხოვთ, თუ მიგიწვდებათ ხმა, „ტექნო ბუმის“ ყველა თანამშრომელს ჩვენი გახარებული ოჯახის სახელით უდიდესი მადლობა გადაუხადეთ!

**დალი ბოლქვაძე, გათამაშების გამარჯვებული:**

– „ტექნო ბუმის“ ბათუმის ფილიალში ტელევიზორი და მიქსერი შევიძინე და წარმოუდგენელი რამ მოხდა, რასაც ვერც კი ვიოცნებებდი – დედაქალაქში მშვენიერი ბინა მოვიგე. აზარტული არასოდეს ვყოფილვარ, არც არაფერი მომიგია ოდესმე, მაგრამ ამ ამბავმა ყველაფერი შეცვალა! თურმე, ხალხი მართლა იგებს, არ ყოფილა სიცრუე ასეთი გათამაშებები და ახლა, როცა კარგად ვიცი, რას ნიშნავს მოგება, ყველას გულით ვუსურვებ, ჩემი ბედი გაიზიაროს!

**ნინა იაკოვლევა, გათამაშების გამარჯვებული:**

– გამოგიტყდებით და „ტექნო ბუმში“ პირველად შევიძინე საჭირო ნივთი – ტელევიზორი ვიყიდე განვადებით, თვეში 19 ლარს ვიხდი და აღმოჩნდა, რომ გათამაშების პირობებით, 1 ბილეთი მეკუთნოდა.

– ქალბატონო ნინა, თქვენ მხოლოდ ერთი ბილეთი გქონდათ?

– თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთი და საოცრად გამიმართლა, ემოციებს ვერც კი აღგიწერთ – ჯერ ისევ შოკში ვარ და არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდება.

*მიხეილ სახვაძე*



# შალვა ნათელაშვილი: „ეს მარაზმი, როცა მოსახლეობის 30%-ზე მეტი არჩევნებზე არ მოდის, ლეგიტიმური არჩევნებია?“

## „ევროპელი მეგობრებისგან ვითხოვთ, აიძულონ საქართველოს ხელისუფლება, დანიშნოს ხელახალი არჩევნები ორი თვის თავზე“

**„ალიას“ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო შალვა, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ამბობდით, რომ მოსახლეობის 30% გიჭერდათ მხარს, არადა ძალიან დაბალი მაჩვენებელი გაქვთ.**

– ჩვენი ამომრჩეველი მოვიდა და მოგვცა ხმა. მაგრამ მერე, როცა ამათ დააყარეს ბიულეტენები, ვითომ ნახევარმა მილიონმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა გარდაბანში, დმანისში, ბოლნისში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, როგორც სჩვევიათ, ბუნებრივია, ამან დააგდო „პლატა“. იმაში გეპარებათ ეჭვი, რომ ეს ხმების გაყოფა მოლაპარაკებულია? ეს მეორე ტური, და კომპრომისები მოლაპარაკებების შედეგია? გააყალბეს არჩევნები. არჩევნები მსოფლიო სტანდარტით არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური, თუ საარჩევნო სასტარტო პირობები არათანაბარია. როცა სამ პარტიას აქვს უფასო რეკლამა, ჰყავთ დახელფასებული წევრები, მილიონობით საბიუჯეტო დაფინანსება და ბიზნესიდან შემოწირულობები და ამის ფონზე მე არაფერი და არავინ არ მყავს, შეიგააკეთა ყველამ, როგორც ბიძინას გულს გაუხარდებოდა, მაგრამ ვერ მივართვი, 28 რაიონში მაინც გავიყვანეთ ჩვენი ხალხი. 30%-ს რომ გაგიფუჭებენ და 3%-ზე დაგიყვანენ, ხომ არის კატასტროფა?

**— არ დანიშნავენ ხელახალ არჩევნებს. ამის შემდეგ რა გეგმა გაქვთ?**

– საარჩევნო კანონმდებლობა რა პირობებშიც არის „ნაცების“, „ოცნების“ და ბურჯანაძის ხელში, იგივე პირობები მომეცით და განახებთ, ვისიც აჯობებს. ეს თუ არ გაკეთდა, ჩვენ ამ ზაფხულში გამოვაცხადებთ სპეცლონისძიებებს, რომელიც იგეგმიზეზი? პოლიტიკოსებს გვეყოფა იმდენი ხედვა, რომ კოორდინაციას მოვახდენთ ერთმანეთთან და პროცესს წინ წავუძღვეთ. რა თქმა უნდა, მზად ვართ, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან ვითანამშრომლოთ და მოურავ-ინაშვილების წინააღმდეგაც გამოვიდეთ. ესენი ისე წარმოადგენენ თავს, თითქოს ჩემი წინ წასვლა იქნება ქვეყნის დაქცევა.

**— კი მაგრამ, თუ ინაშვილთან არ ითანამშრომლებთ, კუკავა-მემარჯვენეებთან სულ ჩხუბობდით და როგორ გაერთიანდებით?**

– ალიანსს კი არ შევქმნით, თანამშრომლობაზე წავალთ. იგივე ძლება ის არჩევნები ლეგიტიმურად ჩაითვალოს? ეს მარაზმი, როცა მოსახლეობის 30%-ზე მეტი არჩევნებზე არ მოდის, ლეგიტიმური არჩევნებია? შეიძლება, ლეგიტიმური იყოს ასე არჩეული პარტია ან მერი?

**— ტაიფუნსა და ცუნამს ჰპირდებოდით ხელისუფლებას, თუკი არჩევნებს გაგვიყალბებენო. როდის აპირებთ ამას?**

– ევროპელი მეგობრებისგან ვითხოვთ, აიძულონ საქართველოს ხელისუფლება, დანიშნოს ხელახალი არჩევნები ორი თვის თავზე. ეს არ არის ლეგიტიმური არჩევნები, ეს არის სიყალბე და ივანიშვილის მაფიის გამარჯვება ქვეყანაზე. ჩხოროწყუში, როგორც შს მინისტრის მოადგილეს, იზორიას უნდოდა, ის პროცენტი დაგვიწერეს. სიღნაღში ჯანყარაშვილმა გადაიბირა ყველა ტერორით და დაგვიწერეს, რაც უნდოდათ. ისე მება პირადად ივანიშვილის წინააღმდეგ. მოვივლი მთელ დედამიწას, რომ ის მილიარდები, ხალხს რომ დაჰპირდა, ეკონომიკაში ჩავდებო, მას ამოვაშხამო, დავუყადაღო, გავუნიველირო და შემოდგომაზე დავიწყებთ საპროტესტო მოძრაობას ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით. ეს ექსკლუზივი „ალიას“, რასაც ვაპირებთ.

**— აქციებს დიდი რესურსი სჭირდება, როგორ მოახერხებთ მარტო? არასაპარლამენტო ოპოზიციას ხომ არ მოელაპარაკებით ერთობლივ მოქმედებაზე?**

– რევოლუციას მე არ ვგეგმავ, ივანიშვილმა დაუგეგმა თავის თავს, როცა ჯერ საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა, როცა არც ერთი დაპირება არ შეასრულა, სოდომ-გომორის ცოდვა დააკანონა და 30%-იანი არჩევნები უმრავლესობის ნებად გამოაცხადა. არ არის საკმარისი კუკავასთან საარჩევნო პერიოდში ბევრი მწვავე დებატი გვქონდა, მაგრამ სადაც საჭირო იქნა, კანდიდატურები მოვუხსენით. ზოგში – თავად მოხსნეს. ამ ფორმატით შეგვიძლია გამოსვლებშიც ვიყოთ ერთად, მაგრამ არა ოპოზიციურ გაერთიანებაში. არ ვითანამშრომლებ ჩემ გამო გამოძერწილ ოპოზიციასთან. ოღონდ შალვას წინსვლა არ ენახა და ნინოს უთხრეს, მოდი, ჩემო ნინო, აჰა შენ 2 მილიონი, გაძლიერდი და ჩემო თარხან-მოურავო, შენ შეწყვიტე ეგ კრიტიკა შენი „ობიექტივიდან“, გაგიხსნი გზას და დაგიწერ 6%-სო. ვინ თარხან-მოურავი და ინაშვილი? ვინ ცნობს მაგათ პოლიტიკოსებად?

**— შეიძლება, სიტუაცია ისე განვითარდეს, რომ მეორე ტური არ ჩატარდეს?**

– არანაირ მეორე ტურს არ ვცნობთ, ორივე უნდა მოისროლო, რა მეორე ტური? მეორე ტურს უნდა იწვევდეს დემოკრატიული პირველი ტური? პირველია არალეგიტიმური და ვის ვუტარებთ მეორე ტურს, რა სისულელეა? ჩვენ ვითხოვთ ხელახალ არჩევნებს, თორემ ვპირდები, სანატრელი გაუხდება არჩევნები ივანიშვილს, როცა განრისხებული მასა მიადგება მას და მის ვეზირებს სასახლესთან.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თუ ასე გაგრძელდა, მმართველი გუნდი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება“




„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე არჩევნების პირველადი შედეგების გამოცხადებას გამოეხმაურა:

„ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობას ბოროტად იყენებს ხელისუფლება, მაგრამ ეს მათ ვერ მოუტანს კარგ შედეგს. ჩვენი მოსახლეობის მოთმინებას აქვს საზღვარი და თუ ასე გაგრძელდა, მმართველი გუნდი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება. კარგი იქნებოდა „ქართულ ოცნებას“ თავისი წინამორბედის შეცდომებზე ესწავლა და იგივე შეცდომების გამეორება არ დაეწყო, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა. თქვენ ხედავთ ჩვენს ერთ მუშტად შეკრულ გუნდს, ამ გუნდს ვერ დაანგრევს გუშინდელი აბსოლუტური უსამართლობა. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, მსგავსი დარტყმები ჩვენ უფრო გვაძლიერებს. ვფიქრობ, რომ კიდევ ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი შემოემატება ჩვენს გუნდს, ამის ნიშნები უკვე ნამდვილად ჩანს და ჩვენ ძალიან სერიოზულად გავაგრძელებთ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის გადარჩენისთვის“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადა, რომ მარნეულში მოხსნილი კანდიდატი, რომელმაც ხმების გარკვეული რაოდენობა მიიღო, დარჩება სიაში იმიტომ, რომ თურმე ხალხის ნებას სცემენ პატივს.

„ეს ხომ გათამაშებული სცენარი იყო იმისთვის, რომ არ გასულიყო ჩვენი კანდიდატურა. მესმის, რომ თქვენ ძალიან გამოუცდელები ხართ და გგონიათ, რომ თქვენ რომ რაღაც გაიფიქრეთ, ეს ძალიან დიდი მიღწევაა, მაგრამ პოლიტიკაში გამოწრთობილ ადამიანებს ნანახი და ბევრი რამ დავიწყებულიც აქვთ. ასე რომ, ასე ადვილი ხალხის მოტყუება ნამდვილად არ არის. ეს არის საბავშვო ბაღი, ეს არის ქვეყნის მასხრად აგდება და ეს ცირკი, შეიძლება სატირალიც გახდეს, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ გაძლიერებას ჩვენი ძალა არ შეუშლის ხელს. გარწმუნებთ, ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ და ხელისუფლებაში მოვალთ კომპეტენტური, წესიერი და ქვეყნისთვის თავდადებული ძალა, რომელიც ნამდვილად მოაწესრიგებს საზღვრებსაც, მოაწესრიგებს ქვეყნის შიგნით პრობლემებს, მოაწესრიგებს ქვეყნის მეზობლებთან ურთიერთობებსაც და აღარასოდეს აკადრებს ხალხს არც მათი ხმის ყიდვას და არც მათი ხმის გაყალბებას“, – აცხადებს ბურჯანაძე. (ინტერპრესნიუსი)

## უსუფაშვილს „ქართულ ოცნების“ უპირობო გამარჯვება არ უნდოდა?



პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, „კოალიცია „ქართულ ოცნებას“ თვითმმართველობის არჩევნებში უპირობო გამარჯვება რომ მოეპოვებინა, ეს ხელისუფლებაზე უარყოფითად აისახებოდა, არჩევნების ასეთმა შედეგებმა კი ხელისუფლებას დაანახა, რომ საზოგადოება ფხიზლად ადევნებს თვალს და საჭიროა მეტი მუშაობა“.

„საქართველოს მოსახლეობა უპირობოდ ენდობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“, მაგრამ მას მკაფიოდ მიანიშნებს, რომ საჭიროა მეტი მუშაობა, უკეთესი მუშაობა იმისთვის, რომ ეს მხარდაჭერა იყოს გარანტირებული ხვალისთვისაც და ზეგისთვისაც. მოსახლეობა, დღევანდელი მდგომარეობით, ვერ ხედავს უკეთეს ალტერნატივას, ვისაც გადააბარებდა ხელისუფლებას, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ მიანიშნებს, რომ არავინ და არაფერია ქვეყანაზე მუდმივი და საჭიროა მეტი მუშაობა – მოსახლეობისთვის მათი პრობლემების უკეთ და უფრო სწრაფად მოგვარება. ამ არჩევნებმა არანაირად არ მოგვცა ეიფორიის საშუალება. ცუდი იქნებოდა, ყველგან და ყველაფერში რომ გაგვემარჯვებინა და მიგვეღო 70%-80%, ეს უარყოფითად იმოქმედებდა ჩვენს საქმიანობაზე. ასეთ დროს ჩავთვლიდით, რომ არაფერი პრობლემა არ არის და დღეს ჩვენ დავინახეთ, რომ მოსახლეობა ფხიზლად გვადევნებს თვალს. ამ გზავნილს ადეკვატურად გადავზრდით ძალიან კონკრეტულ საქმეებში“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

უსუფაშვილი აცხადებს, რომ მხარდამჭერების აქტივობაც და პასიურობაც კონკრეტული კანდიდატების დამსახურებაა.

„თუ კარგია აქტივობა და თუ ცუდია პასიურობა, ორივე კანდიდატების დამსახურებაა. მათ უნდა იზრუნონ, რომ პასიური ამომრჩევლების გარდა, აქტიურებიც ჰყავდეთ. თუმცა ვინც დარჩა სახლში, ამით არჩევნებს ჩრდილი არ მისდგომია. მე ცოტა უფრო მეტ აქტივობას – 46%-47%-ს ველოდებოდი“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

## გოგა ონიანი პოლიციაში დაკითხეს



„ნაციონალური მოძრაობის“ ვაზისუბნის მაჟორიტარობის კანდიდატი გოგა ონიანი 15 ივნისის ინციდენტთან დაკავშირებით პოლიციაში დაკითხეს.

„სამწუხაროა, რომ პროკურატურის პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებს შეემატა კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე. საქმე უნდა აღძრულიყო მკვლელობის მცდელობის, საარჩევნო საქმიანობისთვის ხელის შეშლისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების მუხლით, პროკურატურამ კი გადაწყვიტა, რომ თურმე ეს საქმე უნდა დაწყებულიყო სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე. ჩემი შტაბის წევრი 2 ქალბატონი იდგა აივანზე და ორი ტყვია მოხვდა აივანს, თურმე ეს ყოფილა ნივთის დაზიანება. ეს არის სამარცხვინო და სამწუხარო“, – აღნიშნა ონიანმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge







# რას უყვებიან „ალიას" არჩევნებში ევროკავშირის ელჩ დიმიტროვის საიდუმლო მისიაზე

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა ხალხი შოკში ჩააგდო. ყველა ელოდა, რომ ამ არჩევნების შემდეგ, „ნაცმოძრაობა" კატასტროფულ მარცხს იგემებდა, მინიმუმ, მეორე ადგილზე მაინც ვერ გავიდოდა და მთავარი ოპოზიციურ ძალის სტატუსს, რითაც ასე ამაყობენ, დაკარგავდა. ხალხს ეს მოლოდინი ტყუილად არ ჰქონდა. ხალხის წინასწარ განწყობას რეალური, ფაქტობრივი საფუძველი ჰქონდა და მოდით, ჯერ ამის შესახებ მოგახსენებთ.

თუ არ ჩავთვლით „ნაცმოძრაობას" შერწყმულ კვლევით ორგანიზაციებს, სხვა ყველა კომპანიის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ამ პარტიას უდაბლესი რეიტინგი უფიქსირდებოდა. მეტიც, მაისში გაზეთმა „კვირის ქრონიკამ" მოიპოვა და გამოაქვეყნა თავად „ნაცმოძრაობის" მიერ ერთ-ერთი სოციოლოგიური კომპანიისთვის შეკვეთილი კვლევის შედეგები. ეს კვლევები „ნაცებს" შიდა მოხმარებისთვის სჭირდებოდათ, რათა საკუთარი პარტიისა და თბილისის მერობის კანდიდატის, ნიკა მელიას რეიტინგი გაეზომათ. ამ კვლევებით, საქართველოს მასშტაბით, „ნაციონალთა" რეიტინგი 12%-ს არ აღემატებოდა, ხოლო თბილისში ნიკა მელიასი 10%-ს. ყველაფერს თავი დავანებოთ, ყველამ ისედაც ჩინებულად ვიცით, რომ „ნაცებს" უდაბლესი რეიტინგი აქვთ. მათ მხოლოდ მცირე რაოდენობის მხარდამჭერებიღა შემორჩათ, ის ადამიანები, რომლებიც მათთან დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებიან და „ნაცმოძრაობის" საბოლოოდ დაღუპვა, მათი დაღუპვაცაა. ასევე, ლიბერალური იდეების მიმდევარი ახალგაზრდობის ნაწილი და „ნაცების" მიერ დღემდე შანტაჟის ქვეშ მყოფი საზოგადოების მცირე ნაწილი. სულ ესაა, ვინც „ნაცებს" ნებით თუ ძალით უჭერს მხარს. სწორედ ეს ხალხი შედის იმ 12 პროცენტში, რომელიც მაისში ჩატარებულმა კვლევამ დააფიქსირა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „ნაცებს" ეს შედეგები მართლა კატასტროფულად უნდა წაეგოთ, მაგრამ ასე არ მოხდა.

წესით და რიგით, ისიც გამორიცხული იყო, რომ ხელისუფლებას ეზრუნა „ნაცების" გადასარჩენად და საარჩევნოდ „ქართულ ოცნებასა" და მათ შორის გარიგება შემდგარიყო. „ქართული ოცნების" ლიდერებმა კარგად იცოდნენ, რომ ხალხი უკმაყოფილო იყო, კოჰაბიტაციის პროცესის დასასრულს, დამნაშავე „ნაციონალთა" დასჯასა და სამართლიანობის აღდგენის პროცესის რეალურად დაწყებას ითხოვდა. ხელისუფლების სხვადასხვა ლიდერები აცხადებდნენ, რომ ამ არჩევნებში სააკაშვილის პარტია არნახულ კრახს განიცდიდა და ამის შემდეგ, სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეუქცევადი გახდებოდა. აქვე გავიხსენოთ პრემიერ ღარიბაშვილის განცხადება, რომ „ნაცმოძრაობა" 6-პროცენტიანი პარტიაა და არჩევნების შემდეგ საერთოდ გაქრება რადარებიდანო. არადა, ასე არ მოხდა. ცესკო-ს ამ დროის მონაცემებით, პროპორციულ არჩევნებში საქართველოს მასშტაბით, 22% აქვთ. აშკარაა, რომ ეს არ არის „ნაცმოძრაობის" რეიტინგის ადეკვატური შედეგი, ეს არ არის მათი მხარდამჭერთა რაოდენობის შესატყვისი. თქმა არ უნდა იმას, რომ რაღაც მოხდა, ბოლო მომენტში „ნაციონალებმა" მოახერხეს და არჩევნებში, რაც თავის გადასარჩენად სჭირდებოდათ, ის შედეგი დადეს.

„ალიას" ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ მოაწოდა ინფორმაცია, რომელიც „ნაციონალთა" ამ წარმატების საიდუმლოს ხსნის. შესაძლოა, ეს ინფორმაცია არ იყოს უტყუარი, მაგრამ ამ ვერსიას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. მით უფრო, თუ იმ ყველაფერს გადავხედავთ, რაც ზემოთ მოგახსენეთ. წყარო აცხადებს, რომ „ნაციონალებმა" დააშანტაჟეს ხელისუფლება. კერძოდ, ხელისუფლების უმაღლეს პირებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ, თუ არჩევნებში მათ შორის შეთანხმება არ შედგებოდა, „ნაცმოძრაობა" მეორე ადგილზე არ გავიდოდა, მაშინ ქვეყნის მასშტაბით დიდ არეულობას გამოიწვევდნენ და საქმეს იქამდე მიიყვანდნენ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას ჩაშლიდნენ. თუ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყებოდა, დიდი ალბათობით, ამ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი მართლაც გადაიწევდა. წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალებმა" ამ საფრთხის რეალობაში დაარწმუნეს ხელისუფლების რამდენიმე ლიდერი და აიძულეს, მოლაპარაკებას დასთანხმებოდნენ. წყაროს თქმით, „ოცნების" მხრიდან მოლაპარაკებას უსუფაშვილი უძღვებოდა, „ნაციონალთაგან" ვინ მონაწილეობდა მოლაპარაკებაში, წყაროსთვის უცნობია. წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალებს" მოლაპარაკების ბოლო სტადიაში ჩაურთავთ საქართველოში ევროკავშირის ელჩი, მათი გულითადი მეგობარი, ფილიპ დიმიტროვი. მას, ერთი შეხედვით, ცალსახად არ დაუჭერია „ნაციონალთა" მხარე, მხოლოდ ორი რამ დაუფიქსირებია უსუფაშვილისთვის. უთქვამს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის ინტეგრაციის საქმეში, „ნაციონალებს" დიდი წვლილი მიუძღვით და მიუხედავად მათი წარსული დანაშაულებისა, ამ პარტიას გამოსწორების შანსი უნდა მიეცეს, ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ „ნაცმოძრაობა" პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩება. მეორეც, დიმიტროვს დაუდასტურებია უსუფაშვილისთვის, რომ საქართველოში ნებისმიერი არეულობა საფრთხეს შეუქმნიდა ევროასოცირების ხელშეკრულებას და მიუხედავად იმისა, რომ მასზე ხელმოსაწერად უმცირესი დროა დარჩენილი, გამორიცხული არაფერია, არც ხელმოწერის ჩაშლა და არც ვადის გადაწევაო. დიპლომატიური ენით ეს

საქართველოს მასშტაბით, 22% აქვთ. აშკარაა, რომ ეს არ არის „ნაცმოძრაობის" რეიტინგის ადეკვატური შედეგი, ეს არ არის მათი მხარდამჭერთა რაოდენობის შესატყვისი. თქმა არ უნდა იმას, რომ რაღაც მოხდა.

გაგრძელება მერვე გვერდზე



## „საზოგადოებამ „ქართულ ოცნებას" ყვითელი აუნთო და პასიური პროტესტი გამოუხატა"



2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს აფასებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, „რეფორმატორთა კლუბის" დამფუძნებელი დიმიტრი შაშკინი, რომელიც არჩევნების შედეგების შეფასებისას სამ ძირითად ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას.

„ის, რაც მოხდა ადგილობრივ არჩევნებზე, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობამ „ყვითელი" აუნთო „ქართულ ოცნებას". ეს არის საზოგადოების მხრიდან მმართველი ძალის პირველი სერიოზული გაფრთხილება, რომ ის მიმართულება, რომლითაც ქვეყანა ვითარდება, საზოგადოებისთვის არ არის მისაღები. კერძოდ, პირველი არის პრობლემები, რომელიც ქვეყანაში დაგროვდა და ამ პრობლემებზე პასუხი „ქართული ოცნების" მხრიდან ნარცისიზმისა და თვითდაჯერებულობის სახით, საზოგადოებისთვის მისაღები არ არის.

მეორე და მნიშვნელოვანი არის ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" შეინარჩუნა თავისი ბაზისური ელექტორატი საქართველოს მასშტაბით და დაამტკიცა, რომ ის არის ერთადერთი ოპოზიციური ძალა და წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების ალტერნატივას, მიუხედავად იმ რეპრესიებისა და ძალადობისა, რომელიც არის ქვეყანაში.

მესამე – საზოგადოებამ, გარდა იმისა, რომ მთავრობას ყვითელი აუნთო, ასევე გამოხატა პასიური პროტესტი იმ პოლიტიკის მიმართ, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება. ეს გამოიხატა იმაში, რომ არჩევნებზე მოვიდა ძალიან ცოტა ამომრჩეველი, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. თუ თქვენ გადახედავთ ისტორიას, ნახავთ, რომ სწორედ ასე იწყება პროტესტის ტალღა – ჯერ ამომრჩეველი პასიურად გამოხატავს პროტესტს და არ მიდის არჩევნებზე, და შემდეგ უკვე თუ არაფერი არ იცვლება, გამოხატავს აქტიურ პროტესტს, როცა არჩევნებზეც მიდის, საპროტესტო აქციებშიც მონაწილეობს და ა.შ.", – აცხადებს შაშკინი. (ნიუპოსტი)

## გიგა ბოკერიასა და ნუგზარ წიკლაურს ზუგდიდში თავს დაესხნენ



ზუგდიდში, 15 ივნისს, ღამით ინციდენტი მოხდა, სამხარეო პოლიციის შენობის წინ „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის წევრები გიგა ბოკერიასა და ნუგზარ წიკლაურს თავს დაესხნენ. ისინი ამ დროს სამხარეო პოლიციის შენობაში შედიოდნენ, სადაც მათი ინფორმაციით, საპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტი ჰყავდათ დაკავებული. ვითარება სამართალდამცველების ჩარევის შემდეგ განიმუხტა.

„მე და გიგა ბოკერია მოვედით ზუგდიდის პოლიციაში, რადგან, ჩვენი მონაცემებით, იქ ჩვენი რამდენიმე დამკვირვებელი იყო დაკავებული. გვაინტერესებდა, რა იყო მათი პოლიციაში გადმოყვანის მიზეზი. ადგილზე დაგვხვდა 100-კაციანი ჯგუფი, რომელთაც პოლიციაში შესვლისას ჩვენზე თავდასხმის მცდელობა ჰქონდათ. ფიზიკური თავდასხმის მცდელობა იყო, მაგრამ ეს არ გადაიზარდა ხელჩართულ ჩხუბში. ჩვენ შევედით პოლიციის შენობის ეზოში. ახლაც გარეთ არიან. ერთ-ერთი თავდამსხმელი არის საშა მოლაშხია, ზუგდიდის რაიონში ფოსტის უფროსი დავით სორდია და ფოსტის გენინსპექციის უფროსი – თანამდებობის პირი, რომლებიც ამ თავდასხმაში იღებდნენ მონაწილეობას", – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა. (ნიუპოსტი)

## „ნუ გვაიძულებთ, საგანგებო ზომებს მივმართოთ"



კოალიცია „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ხმის დათვლის პროცესში არჩევნების მასობრივი გაყალბების მცდელობას ჰქონდა ადგილი. ბურჯანაძემ, რამდენიმე კონკრეტული საარჩევნო უბანი დაასახელა, სადაც, მისი თქმით, დამკვირვებლებს მუშაობის საშუალება არ ეძლეოდათ. ბურჯანაძემ მიმართა ცესკო-ს, რომ არჩევნების გაყალბება არ დაუშვას. „ქართული ოცნების" შტაბებში მიმდინარეობს ეგზიტპოლებზე მორგება იმ შედეგების, რაც არის დადებული. მინდა ვთხოვო ცესკოს, რომ ყველა ზომა გამოიყენოს იმისთვის, რომ არ დაუშვას არჩევნების გაყალბება. ნუ გვაიძულებთ საგანგებო ზომებს მივმართოთ. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის" და „ქართული ოცნების" ერთობლივი მოქმედებები და ჩვენ ამას არ შევეგუებით", – განაცხადა ბურჯანაძემ. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

ბრძანებაა – გადაარჩინეთ „ნაცმოძრაობა“, თორემ ევროასოცირების ხელშეკრულება განზე დაგრჩებათ! სწორედ ამის შემდეგ გადაუწყვეტია ხელისუფლებას ის, რაც შემდგომ მოხდა, ცხადია, სხვა ოპოზიციური პარტიების ხარჯზე.

„ნაცმოძრაობა“ არეულობას რომ ამზადებდა დამარცხების შემთხვევაში, ამის შესახებ „ალია“ 13 ივნისის ნომერში წერდა. შეგახსენებთ, ჩვენ ვწერდით, რომ „ნაცებს“ ზუგდიდში მობილიზებული ჰყავდათ „ზონდერჯგუფები“. ცესკო-ს მიერ არჩევნების რეალური შედეგების დაფიქსირების შემთხვევაში, რაც მათთვის სასტიკი მარცხის ტოლფასი იქნებოდა, არეულობის დაწყებას 15 ივნისს ზუგდიდში აპირებდნენ და შემდეგ, 17 ივნისს ამ პროცესს თბილისში გადმოიტანდნენ. ზუგდიდში „ნაციონალები“ პროვოკაციებს, საარჩევნო უბნების დარბევასა და არეულობას რომ გეგმავდნენ და საამისოდ სპეცჯგუფები ჰყავდათ მობილიზებული, ეს იმავე დღეს, 13 ივნისს, „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ორგანიზაციამ დაადასტურა, რომელმაც ამის შესახებ სპეციალური განცხადება გაავრცელა.

არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში, დასაკარგი „ნაციონალებს“ აღარაფერი ექნებოდათ, რადგან პოლიტიკურ მოუსავლეთში გამგზავრებულნი იქნებოდნენ. დასაკარგი ხელისუფლებას ექნებოდა და ეს შესაძლო დანაკარგი ევროასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ჩაშლა, ან მისი ვადის გადაწევა იქნებოდა. რამდენი ხნით გადაიწევდა ეს ვადა, კაცმა არ იცის. აი, ასეთი მზაკვრული გეგმა ჰქონდათ „ნაციონალებს“. მაგრამ მისი განხორციელება აღარ დასჭირდათ, რადგან ხელისუფლებასთან გარიგებით არჩევნებში სასურველი შედეგები მიიღეს.

ვერ გეტყვით, რამდენად სარწმუნოა წყაროს ინფორმაციები, ბევრი რამ რთული გადასამოწმებელია, მაგრამ მოსახლეობის 9-წლიანი ტერორის, მკვლელობების და წამების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ მე-2 ადგილზე გასვლა რომ ეჭვს იწვევს, ფაქტია.

**„ნაციონალები“ პროვოკაციებს, საარჩევნო უბნების დარბევასა და არეულობას რომ გეგმავდნენ და საამისოდ სპეცჯგუფები ჰყავდათ მობილიზებული, ეს „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ორგანიზაციამ დაადასტურა, რომელმაც ამის შესახებ სპეციალური განცხადება გაავრცელა.**

**ხათუნა ელბაქიძე**
*591 41-27-97*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახალციხეში 35 წლის ქალი მეხის დაცემის შედეგად გარდაიცვალა



ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელში 35 წლის ქალი გარდაიცვალა. ქალბატონი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს ამუშავებდა. მოულოდნელი წვიმის დროს მას მეხი დაეცა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ქალბატონმა მიღებული ელექტროშოკის გამო გონება დაკარგა. ოჯახის წევრებმა ის ახალციხეში „უნიმედი სამცხეში“ გადაიყვანეს. პაციენტი მედიკოსებმა რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს, თუმცა მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა. მას ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. (ნიუპოსტი)

## „ჩვენს სამშობლოს დღეისთვის 18-დან 20%-მდე მეხუთეკოლონელი ჰყავს“



კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა მიიჩნევს, რომ საქართველოში მოღალატე და მეხუთეკოლონელების რიცხვი 20%-მდეა, – წერს რურუა „ფეისბუკის“ გვერდზე.

„ეს ბევრია. ამის საწინააღმდეგოდ აუცილებელია სრული მობილიზაცია ყველა პატრიოტული ძალისა ერთი მთავარი ღირებულების – ქვეყნის შიდა და გარე თავისუფლების – გარშემო, თუ ჩვენ ადამიანურ, ცივილიზებულ და დაცულ სახელმწიფოში გვსურს ჩვენი და ჩვენი შვილების ცხოვრება. ამას ალტერნატივა, ჩემი აზრით, არ გააჩნია“, – წერს რურუა. (ნიუპოსტი)

## რეალურად მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა?



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შეაფასა.

„პირველ რიგში გამარჯვებად რასაც ვთვლი, არის ის, რომ დაიმსხვრა, როდესაც თვითკმაყოფილი ხელისუფლება თავს ახვევდა ხალხს საკუთარ პოლიტიკურ ნებას, ახლა კი ხალხი აძლევს პოლიტიკურ დღის წესრიგს და ახლა ხალხია ჩართული რეალურ თვითმმართველობაში“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

„ყველა ოლქში ჩვენ პრაქტიკულად გავიმარჯვეთ, საკრებულოებში გვეყოლება უმრავლესობა, თითქმის ყველა ოლქში მოვიგეთ მაჟორიტარები და ეს იმას ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ საზოგადოება ენდობა, მაგრამ ამასთანავე, სთხოვს, რომ უფრო მეტი გააკეთოს, მეორე ტური ჩატარდება 21 ოლქში, სადაც დღესაც დამაჯერებლად ლიდერობენ „ქართული ოცნების“ კანდიდატები“, – აღნიშნა მინისტრმა.

ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ საქართველოში რეალურად მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა და მისივე თქმით, ეს არის საზოგადოების გამარჯვება და ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება. (ნიუპოსტი)

## საგამოცდო ბარათების დარიგება 18 ივნისიდან დაიწყება

საგამოცდო ბარათების დარიგება, მთელი საქართველოს მასშტაბით, 18 ივნისიდან დაიწყება. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები საგამოცდო ბარათებს საკუთარ სკოლებში მიიღებენ.

სკოლადამთავრებულები, ისევე, როგორც მაგისტრანტობის კანდიდატები, ბარათების აღებას რეგისტრაციისას მითითებულ ადგილებზე შეძლებენ.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების მონაწილეები კი ბარათს საგანმანათლებლო რესურსცენტრებში აიღებენ, სტუდენტები – თავიანთ უმაღლეს სასწავლებლებში.

აპლიკანტებს, რომლებსაც რეგისტრაციის დროს საგამოცდო ადგილის მითითება დაავიწყდათ, საშუალება ექნებათ, ბარათი შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში 10:00-18:00 საათამდე აიღონ.

ერთიანი ეროვნული გამოცდები წელს 26 ივნისს დაიწყება და 16 ივლისს დასრულდება. (ნიუსპრესი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენი არჩევნებს აფასებს



სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მთელი საქართველოს მასშტაბით მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა.

„არჩევნების დღეს, როგორც თბილისში ასევე რეგიონებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მობილური ჯგუფები მობილიზებული იყვნენ, თუმცა, კენჭისყრის დასრულებამდე, ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ შეტყობინებები არ შემოსულა. კანონდარღვევებს ადგილი ჰქონდა ხმის დათვლის პროცედურების დაწყების შემდეგ.

საინფორმაციო საშუალებებითა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაძაბულობა შეინიშნებოდა რამდენიმე საარჩევნო უბანზე, მათ შორის, ხონის 22-ე საარჩევნო უბანზე უცხო პირებმა დაამტვრიეს საარჩევნო ყუთი; გავრცელდა ინფორმაცია „ნაციონალური მოძრაობის“ ვაზისუბნის მაჟორიტარი დეპუტატის საარჩევნო შტაბზე თავდასხმის შესახებ. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსგავსი ინციდენტები თავისუფალი არჩევნების უფლების დარღვევად შეიძლება შეფასდეს და სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს ყველა ამ ფაქტზე სწრაფი და ეფექტური გამოძიების ვალდებულება ეკისრება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ყველა შესაძლო დარღვევის ფაქტზე გამოძიება უკვე დაიწყო, თუმცა, მნიშვნელოვანია უმოკლეს ვადებში დადგინდნენ დამნაშავე პირები და დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ცესკო 5 საჩივარს იხილავს




ცენტრალური საარჩევნო კომისია, სხდომაზე არჩევნების დღემდე შესულ 5 საჩივარს იხილავს. კომისიის პრესსპიკერის ეკა აზარაშვილის განცხადებით, საჩივრები ძირითადად უკავშირდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და სააგიტაციო მასალის დაზიანებას. ერთ-ერთი საჩივარი არის ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებით.

„საჩივრები, რომლებიც სხდომაზე იხილება, არ ეხება კენჭისყრის დღეს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საჩივრებს, რადგანაც ასეთი სახის საჩივრები უნდა ყოფილიყო შესული საოლქო საარჩევნო კომისიაში და ცესკოში შესვლის შემთხვევაში, საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე დარჩებოდა განუხილველი. ცესკოს არ დაუტოვებია რეაგირების გარეშე არც ერთი შემოსული საჩივარი, ეს არის დაკავშირებული საარჩევნო პროცესის მიმდინარეობასთან. ნებისმიერი საჩივარი, ნებისმიერი უფლებამოსილი სუბიექტის მიერ წარმოდგენილი, იყო განხილული და დღესაც იხილავს ცესკო საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ საკითხს“, – აღნიშნა აზარაშვილმა. (ნიუპოსტი)

## ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ტექნიკური დეტალები მზადაა



ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ევროკავშირის საბჭომ საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ტექნიკური დეტალების მზადება დაასრულა.

„ამ შეთანხმების მიზანია, გააღრმაოს ამ ქვეყნების პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირთან“, – ნათქვამია განცხადებაში.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მიიღეს სამართლებრივი აქტი, რომელიც ევროკავშირს ორივე შეთანხმების ხელმოწერის საშუალებას აძლევს. ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის მიერ რატიფიკაციამდე, საბჭომ ასევე გადაწყვიტა ორივე პარტნიორს შესთავაზოს დროებითი დებულებები თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე.

„საქართველოსა და მოლდოვასთან შეთანხმებებს ხელი მოეწერება 27 ივნისს. ამავე დღეს ხელი მოეწერება ევროკავშირის უკრაინასთან ასოცირების შეთანხმების ეკონომიკურ ნაწილს. ამ უკანასკნელი დოკუმენტის ტექნიკური დეტალების მომზადება მალე დასრულდება“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK






# რატომ არ მივიდა ივანიშვილი არჩევნების დღეს „ოცნების“ ოფისში?

**„ალიას“ ესაუბრება საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახა კახიშვილი:**

– „ქართული ოცნება“ იხტიბარს არ იტეხს, თუმცა ცხადია, ასეთი შედეგის მოლოდინი ნამდვილად არ ჰქონია. რეალურად ასეთი შედეგის მოლოდინი რომ ჰქონოდათ, სცენებს არ დაამონტაჟებდნენ, ფოიერვერკების სროლას არ დაიწყებდნენ და იმ შამპანურს, რომელიც გახსნეს, როგორც მინიმუმ, გააციებდნენ მაინც მეორე ტურამდე. ეს იყო „ოცნების“ კრახი, იმ ნდობის პირობებში, რომელიც მათ ჰქონდათ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში. საზოგადოებამ გამოხატა ჩუმი, მაგრამ ძალიან სერიოზული პროტესტი, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. ამით ამომრჩეველმა მმართველ გუნდს მიანიშნა, რომ ავანსად გაცემული ნდობის მანდატი, რომელიც ორი წლის წინ გასცა, იწურება. ახლა ხელისუფლებაზეა ყველაფერი დამოკიდებული, თუკი ის გააგრძელებს სირაქლემის პოზიციაში ყოფნას, ხალხის მოთხოვნების მიმართ იგნორის დაფიქსირებას, თუკი არ იფიქრებს საზოგადოებასთან შეწყვეტილი კომუნიკაციის აღდგენაზე და საუბარს გააგრძელებს მხოლოდ „ნაცმოძრაობასთან“, მაშინ ძალიან ძვირი დაუჯდება ამგვარი პოლიტიკა. ასევე, თუ მმართველი გუნდი დაკავებული იქნება პრემიების აღებით, მანქანებისა და ტელეფონების ყიდვით და რაც ყველაზე მთავარია, არაპოპულარული კანდიდატების წარდგენით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები კიდევ უფრო ცუდი შედეგით დასრულდება „ქართული ოცნებისთვის“. შეიძლება მათ ისევ თქვან, რომ მათი დაბალი რეიტინგი არის დემოკრატიის გამარჯვება, თუმცა გარწმუნებთ, ეს დემოკრატიის გამარჯვება არ იქნება, ადამიანები, რომ დაუსჯელები დადიან, ამას დემოკრატია არ ჰქვია, ადამიანებს რომ წართმეულს არ უბრუნებს სახელმწიფო, ამას დემოკრატია ნამდვილად არ ჰქვია და რის გამარჯვებას ზეიმობენ, იქნებ აგვიხსნან ნორმალურად.

**— რას ნიშნავდა ბიძინა ივანიშვილის მოქმედება არჩევნების დღეს, როცა მან გურიაში, ნატანებში მისცა ხმა? „ქართული ოცნება“ მთელი დღის განმავლობაში აანონსებდა, რომ ცენტრალურ ოფისში ივანიშვილი მივიდოდა, მაგრამ არ მისულა.**

– მგონი, თავად ბიძინა ივანიშვილიც დარწმუნდა, რომ, სამწუხაროდ, მართვის პრობლემა არის სახეზე. თქვენ იცით, რომ რეალურად ამას შეიძლება ჰქონდეს უფრო რთული შედეგები, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია.

**— რა შედეგები შეიძლება იყოს ეს?**

– ის, რომ ერთადერთ პროექტი, რაც ნამდვილად კარგად გამოუვიდა „ქართულ ოცნებას“ და წარმატებით განახორციელა, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმირება და გადარჩენა. ამიტომ დღეს თუ ვინმეს ჰგონია, რომ საკრებულოებში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, რომლებმაც მანდატი მოიპოვეს, იფიქრებენ, როგორ შეუწყონ ხელი საკრებულოს მუშაობას, რომ ქვეყანა განვითარდეს, ძალიან ცდებიან. ეს ადამიანები მუდმივად იქნებიან დაკავებული იმით, რომ შექმნან პრობლემები. ისიც კარგად მოეხსენება ყველას, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ პარტიები არ არიან გაერთიანებული ერთი იდეის გარშემო, ამ კოალიციაში პარტიები გაერთიანებულები არიან იმ პრინციპით, რომ ხელისუფლებაში ყოფნა სურთ. იქ არიან პარტიები, რომლებისთვისაც უცხო არ არის პარტნიორის შეცვლა, როცა პარტნიორი კარგავს ავტორიტეტს და პოპულარობას. ასე რომ, თუ 2016 წლამდე პროცესი ისე განვითარდა, რომ „ქართული ოცნება“ დაკარგავს ნდობის მანდატს, აუცილებლად დაიწყებს ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტი უფრო ძლიერი კანდიდატის მოძებნას, რომ ხელისუფლებაში თუ არა, წარმომადგენლობით ოპოზიციაში მაინც დაფიქსირდეს საქართველოს პარლამენტში. თუ ამ დროს „ნაცმოძრაობა“ იქნება იმდენად გაძლიერებული, რომ მიმზიდველობის პოლუსი ექნება, მაშინ არ არის გამორიცხული, ისიც კი ვიხილოთ, რომ ამჟამად კოალიციაში შემავალმა პარტიებმა მათთან ღიად ან ფარულად ითანამშრომლონ. თუმცა მე დღეს ეჭვი მეპარება, რომ ახლაც არ მიმდინარეობს ფარული თანამშრომლობა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ოცნების“ წარმომადგენლებს შორის.

**— მმართველ გუნდს ძალიან ცოტა დრო რჩება მეორე ტურისთვის მოსამზადებლად, მაგრამ, წესით, პრობლემები არც უნდა შეექმნათ...**

– მეორე ტურში ნამდვილად ვერ ვხედავ იმის საშიშროებას, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვოს. ახლა „ოცნებას“ ძალიან ბევრი ხმა წაართვეს ოპოზიციურმა პარტიებმა, ეს ხმები, ბუნებრივია, „ქართული ოცნებისკენ“ წავა. რაც შეეხება იმას, რა უნდა გააკეთონ, უნდა გააკეთონ ის, რაც არ გააკეთეს. „ქართულმა ოცნებამ“ დიდი შეცდომა



„თავად ბიძინა ივანიშვილიც დარწმუნდა, რომ, სამწუხაროდ, მართვის პრობლემა არის სახეზე. თქვენ იცით, რომ რეალურად ამას შეიძლება ჰქონდეს უფრო რთული შედეგები, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია“

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სააკაშვილის პირველი კომენტარი არჩევნების შემდეგ



საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუკზე“ თვითმმართველობის არჩევნებს ეხმაურება.

„საქართველოს სწრაფი განვითარების დაბრუნება მალე ისევ თბილისიდან დაიწყება!“, – წერს სააკაშვილი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლო მონაცემების მიხედვით თბილისში და რამდენიმე თვითმმართველ ქალაქში მეორე ტურის ჩატარების ალბათობაა.

შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე დავით ნარმანია „ქართული ოცნება“ 46%-ით გავიდა, მეორე ადგილზე – ნიკანორ მელია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 27%-ით, ხოლო მესამე ადგილზე – დიმიტრი ლორთქიფანიძე ნინო „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ 12%-ით. (ნიუპოსტი)

## ლიახვის ხიდზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა 10 დღით აიკრძალება



როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 85 კმ-ზე მდინარე ლიახვზე არსებულ სახიდე გადასასვლელზე ხვალიდან გეგმური სამუშაოები იწყება, რის გამოც 17 ივნისიდან 27 ივნისამდე ლიახვის ხიდზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალება.

ხაშური-თბილისის მიმართულებით მოძრავი ავტოტრანსპორტის ნაკადი გადაერთვება თბილისი-ხაშურის მიმართულებით არსებულ სახიდე გადასასვლელზე და მოძრაობა ორმხრივ რეჟიმში განხორციელდება.

აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან 2013 წლის 15 აპრილს (№20/11-701494) შეთანხმებული ავტოტრანსპორტის ნაკადის დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შესაბამისად. (ნიუპოსტი)

## წულუკიანს იმედი აქვს, ადამიანები ფეხბურთს არ გადაჰყვებიან



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს იმედი აქვს, რომ მეორე ტურში ადამიანების გარკვეული ჯგუფი ფეხბურთის ყურებას არ გადაყვება და საკუთარ არჩევანს დააფიქსირებს: „მე შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ყველა მუნიციპალიტეტში გალურჯდა და ჩვენ, ქართველებმა, ერთხელ დავამარცხეთ წითლები და ახლაც დავამარცხეთ წითლები. მე, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, მჯერა, რომ ჩვენ 2016 წლის არჩევნებში ვიქნებით შთამბეჭდავი არჩევნების წარმომადგენლები და „ნაციონალური მოძრაობა“ აღარასდროს აღარ დაბრუნდება ხელისუფლებაში. ამიტომაც, მოვუწოდებ თბილისელებს, ჩვენს ამომრჩევლებს, უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინონ არჩევნებზე და ზოგიერთი ადამიანი, იმედი მაქვს არ გადაყვება ფეხბურთის ყურებას, მივა არჩევნებზე და საკუთარ ბედს გადაწყვეტს ისე, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია“, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

## სამხედრო პოლიცია 9 წლისთავს აღნიშნავს



საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიცია დაარსებიდან 9 წლისთავს აღნიშნავს. 13 სამხედრო პოლიციელს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში გამოჩენილი დამსახურებებისთვის მედალი „სამშობლოსთვის თავდადებული“ გადაეცა. მედალი „გენერალი კვინიტაძე“ 5-მა პოლიციელმა საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებისა და ჯარების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისთვის მიიღო. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 13 წარმომადგენელი კი ავღანეთში „აისაფ“-ის ოპერაციებში ღირსეულად მონაწილეობისთვის მედლით „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის“, ხოლო 5 სამხედრო თავდაცვის სისტემაში უმწიკვლო სამსახურისთვის დაჯილდოვდა. თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 41 სამოქალაქო, ასევე, სპეციალური წოდების მქონე პირს და 28 სამხედრო მოსამსახურეს. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

დაუშვა, როცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ხალხთან კომუნიკაცია გაწყვიტა, ხალხის ძირითად პრობლემებზე იგნორირების რეჟიმში გადავიდა. ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით იგნორი, „ნაცმოძრაობის" სტილის გაგრძელება პრემიების აღებაში, ხელფასების გაზრდასა და მანქანების ყიდვაში, ეს არის ის, რაც ძალიან მოქმედებს იმ ხალხზე, ვინც თვიდან თვემდე ფიქრობს, ხელფასი ან სოციალური დახმარება როგორ გაანაწილოს პურისთვის. კმაყოფილი სახეებით ჯდომა და ამ განცდაში ყოფნა ძალიან გამაღიზიანებელია ხალხისთვის. „ქართული ოცნების" მიმართ საზოგადოებას ჰქონდა ძალიან დიდი მოლოდინი და საერთოდ გწყინს ზერელე დამოკიდებულება მისგან, ვისი იმედიც გაქვს. ასეც მოუვიდათ, როცა ხალხი ხედავს, რომ „ქართული ოცნება" აგრძელებს „ნაციონალური მოძრაობის სტილს, ვერ მიხვდნენ, რომ თბილისსა და საქართველოს მხოლოდ დაპირების აღარ სჯერა და მიიღეს ის შედეგი, რაც მიიღეს. 2016 წლამდე დიდი დრო აქვს „ოცნებას", რომ საკუთარი შესაძლებლობები გადააფასოს და თუ გონს მოეგებიან, კარგ შედგეს მიიღებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებენ „უარეს დემოკრატიას". „ქართული ოცნების" მთავარი პრობლემა იცით, რა არის? მას სურს მართოს, როგორც „ნაციონალურმა მოძრაობამ", ამავდროულად იმ ვითარებაში, რომელიც არასდროს არ დაბრუნდება, რადგან ხალხი ფხიზლადაა, ამავდროულად ვერ აცნობიერებს, რომ სხვა პოლიტიკური რეალობაა და არც ისეთი დისციპლინა და შიდაკონტროლია, როგორიც „ნაცმოძრაობას" ჰქონდა.



„თუ ვინმეს რეიტინგი აკლდება ამ ძირგამომთხრელი ხალხის მოქმედებით, ეს არის ირაკლი ღარიბაშვილი, თუ არ შეცვლის მართვის სტილს, როგორც მინიმუმ, არ შეცვლის მინისტრთა კაბინეტს და „ქართულ ოცნებაში" არ დაიწყებს ნამდვილად ღირსეული ადამიანების გაწევრიანებას, ძალიან მალე შეექმნება პირადად პრობლემები"

**— „ქართული ოცნების" ზეიმის მიზეზს თუ მიხვდით არჩევნების დღეს?**

– გაუაზრებელი ნაბიჯები აქვს ხოლმე „ოცნებას" და ესეც ასეთი გაუაზრებელი ნაბიჯი იყო. არჩევნების მეორე დღეს უკვე აცხადებდნენ, რომ მეორე ტურს ელოდებოდნენ და იმ შამპანურის გახსნა რაღა იყო მაშინ?

**— გაისმა ბრალდებები ღარიბაშვილის გარემოცვასთან დაკავშირებითაც, რომ პრემიერის გარემოცვა მედროვეებით არის სავსე. თქვენ თუ ხედავთ ღარიბაშვილის თანაგუნდელების წვლილს არჩევნების წაგებაში?**

– კი ნამდვილად ასეა, თუმცა ამავდროულად ირაკლი ღარიბაშვილი კმაყოფილია იმ მედროვეებით, რომელიც ჰყავს გარშემო. საერთოდ, ყველა პირველი პირის იზოლირება რომ ხდება ნელ-ნელა, ეს ფაქტია და ამისგან არც არავინ არის დაზღვეული, თუმცა მეორეა, რამდენად გააჩნია უნარი პირველ პირს, რომ, რაც შეიძლება გაახანგრძლივოს ის პროცესი, როდესაც საბოლოოდ აღმოჩნდება იზოლირებული. სამწუხაროდ, ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან მოკლე დროში აღმოჩნდა იზოლირებული რეალობისგან, ისევე როგორც ბიძინა ივანიშვილი. ის ადამიანები, რომლებიც დღეს არიან მასთან, მის მზეს იფიცებენ და მის ერთ გამოხედვაზე დნებიან, ვერ ხვდება ღარიბაშვილი, რომ ამავდროულად ძირს უთხრიან. პირველ რიგში, თუ ვინმეს რეიტინგი აკლდება ამ ძირგამომთხრელი ხალხის მოქმედებით, ეს არის ირაკლი ღარიბაშვილი. ამიტომ, თუ ღარიბაშვილი არ შეცვლის მართვის სტილს, როგორც მინიმუმ, არ შეცვლის მინისტრთა კაბინეტს და პარტია „ქართულ ოცნებაში" არ დაიწყებს ნამდვილად ღირსეული ადამიანების გაწევრიანებას, პირადად ღარიბაშვილს ძალიან მალე შეექმნება პრობლემები. ის ადამიანები, ვინც დღეს პრემიერს უცინიან, ხვალ გახდებიან მისი უდიდესი კრიტიკოსები. გახსოვთ თქვენ, არჩილ კბილაშვილსაც უცინოდნენ, მაგრამ რომ გადადგა, ერთმანეთს ასწრებდნენ პრესკონფერენციაზე კბილაშვილის უუნარობაზე საუბარს. რაც უფრო მალე შეეძლება ღარიბაშვილს, გადაახალისოს საკუთარი გუნდი, მით უკეთესი მისთვისაც და ქვეყნისთვისაც.



„კმაყოფილი სახეებით ჯდომა და ამ განცდაში ყოფნა ძალიან გამაღიზიანებელია ხალხისთვის. „ქართული ოცნების" მიმართ საზოგადოებას ჰქონდა ძალიან დიდი მოლოდინი და საერთოდ გწყინს ზერელე დამოკიდებულება მისგან, ვისი იმედიც გაქვს"

ნახეთ რომელიმე მთავრობის სხდომის შემდეგ მინისტრების განცხადებები, შეაფასეთ მისი კომპეტენცია და ადვილად მიხვდებით, თუ ვინ უთხრის ძირს პრემიერს. არჩევნებამდე ორი დღით ადრე რეგიონში აქტივისტები ერთმანეთს უპირისპირდებიან, გამოდის პარტიის უფროსი და აცხადებს, რომ ყველაფერი წესრიგშია. ეს არ არის პრემიერის შეცდომაში შეყვანა?

**— სხვათა შორის, არჩევნებს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი მხოლოდ ერთი წინადადებით გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „საქართველოს სწრაფი განვითარების დაბრუნება, ისევ თბილისიდან დაიწყება".**

– „ნაციონალური მოძრაობა" პირდაპირი ფორმით ვერ მობრუნდება, თუმცა ალბათობა იმისა, რომ რებრენდინგი მოხდეს მათი და შემდეგ უკვე მობრუნდნენ ის ადამიანები, ვის მიმართაც არ არის აგრესია, არის ძალიან მაღალი. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ არაგამაღიზიანებელი ხალხის უკან იქნებიან ის დამნაშავე ოდიოზური ფიგურები, რომლებიც მართავდნენ ქვეყანას წლების განმავლობაში? „ნაცმოძრაობა" დღეს იქცევა ისე, როგორც იქცეოდა 2000-დან 2003 წლამდე, როცა ახდენდნენ ძალის დემონსტრირებას და ქვეყანაში უსამართლობის განცდის შექმნით იყვნენ დაკავებულები. იგივეს აკეთებენ ახლაც, მუდმივად საუბრობენ კრიმინალის გაზრდაზე, შეხედეთ, რა ხდება სასამართლო სისტემაში, სადაც ისევ ისე იღებენ უკანონო გადაწყვეტილებებს. ამიტომ თუ გონს არ მოეგება, „ქართული ოცნება" და არ მოუსმენს საკუთარ ხალხს, გამოვა, რომ ისეთ საქმეს გაუკეთებს „ნაციონალურ მოძრაობას", რაც არავის გაუკეთებია, ამით კი ქვეყანა დაზარალდება.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ექადიას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გალავანი ჩამოინგრა



ოზურგეთში, ექადიას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გალავანი ჩამოინგრა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, დაზიანდა მხოლოდ ეკლესიის ქვემოთ მდებარე საფლავები. ოზურგეთის მოსახლეობა გალავნის ჩამონგრევას ბოლოდროინდელ სტიქიურ მოვლენებს უკავშირებს. გალავნის აღდგენა ამ დღეებში იგეგმება. ოზურგეთში, ექადიას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია რამდენიმე დღის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილიამ მეორემ გახსნა. (ნიუპოსტი)

## ასმათ ტყაბლაძე: „მე ბოლომდე გავიმეტე თავი"



„ლეიბორისტული" პარტიის მერობის კანდიდატმა ასმათ ტყაბლაძემ განაცხადა, რომ მისთვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო ის ნიჰილიზმი, რომელიც ამომრჩეველმა გამოიჩინა.

„მე ბოლომდე გავიმეტე თავი და წავედი ისეთ ადგილზე, სადაც მხოლოდ უნდა დავხარჯულიყავი, მთელი ჩემი დარჩენილი ძალა ხალხის სამსახურში უნდა გამომეყენებინა. გაოცებული ვარ ასეთი პასიურობით. შეხვედრებზე რომ დავდიოდი, ხალხი მეუბნებოდა ცნობილ ფრაზას: „ქალბატონო ასმათ, გვეშველება რამე?" ახლა მინდა ვუთხრა: არ ეშველებათ! არავითარ შემთხვევაში არ გეშველებათ, ხალხო, თუ ასეთი პასიურები იქნებით, თუ ვერ განასხვავებთ ავსა და კარგს, თეთრსა და შავს, თუ ვერ მიხვდებით, რომ თქვენ უნდა იშრომოთ და ეს სწორი არჩევანით უნდა დაიწყოთ. არ გეშველებათ და ძალიან გული მწყდება ამის გამო", – განაცხადა ტყაბლაძემ. (ნიუპოსტი)

## გორში უგონო მდგომარეობაში ნაპოვნი გოგონას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება



3 ივნისს, გვიან ღამით გორში უგონო მდგომარეობაში ნაპოვნი 14 წლის გოგონას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. გოგონა იაშვილის სახელობის კლინიკის კრიტიკული მედიცინის ცენტრიდან პალატაში გადაიყვანეს და მას უკვე მეტყველების უნარიც დაუბრუნდა. ჩვენი ინფორმაციით, არასრულწლოვანი ჯერჯერობით მომხდართან დაკავშირებით არ საუბრობს.

შეგახსენებთ, რომ 3 ივნისს გვიან ღამით გორში სტალინის ქუჩაზე ცხრასართულიანი კორპუსის სადარბაზოსთან 14 წლის გოგონა გამვლელებმა შემთხვევით იპოვეს. მას სხეულის მრავლობითი დაზიანებები და მოტეხილობები აღენიშნებოდა, ასევე ყელის არეში თოკი ჰქონდა მობმული. გაურკვეველ ვითარებაში დაშავებული გოგონას საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას ან თვითმკვლელობის მცდელობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## „მომდევნო არჩევნებზე „ოცნებას" გარანტირებული აქვს წაგება"



პატიმრობაში მყოფი ექსპრემიერი ვანო მერაბიშვილი თვითმმართველობის არჩევნებს გამოეხმაურა.

„წელიწადსა და 7 თვეში „ოცნებამ" დაკარგა ნდობა. მინდა, გავიხსენო „ნაციონალური მოძრაობის" წარსული. 2004 წლის არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ" მიიღო 67%, 2008 წელს 59%. გიგი უგულავამ 2006 წელს არჩევნებში 69% მიიღო, 2010 წელს კი – 54%. ხელისუფლებაში ყოფნის 6 წლის თავზე უგულავამ იმაზე მეტი ხმა აიღო, ვიდრე ახლანდელ არჩევნებზე ნარმანიამ. მომდევნო არჩევნებზე „ოცნებას" გარანტირებული აქვს წაგება. „ნაციონალური მოძრაობისთვის" კი მომავალ არჩევნებზე გამარჯვების დღე დადგება", – განაცხადა მერაბიშვილმა საქალაქო სასამართლოში 26 მაისის საქმეზე დაცვის მხარის საჩივრის განხილვისას. (ნიუპოსტი)

## ლუის ნავარო მართლმადიდებლად მოინათლა

ქართველებისთვის ყველაზე ოდიოზური და პოპულარული, „ენ-დი-აი"-ს ქართული ოფისის შეფი ლუის ნავარო სამი დღის წინ მართლმადიდებლად მოინათლა.




თბილისის ქვემო ბეთლემის ეკლესიაში დილის წირვაზე მისულ მრევლს მამა ალექსანდრემ ქადაგების ბოლოს უწმინდესისა და უნეტარესის შეგონება შეახსენა და თქვა, რომ ძალიან ძნელია პრობლემებით სავსე ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ ქართველებმა მაინც უნდა შევძლოთ საკუთარ სამშობლოში დარჩენა და ამ პრობლემებთან გამკლავება. მით უფრო მაშინ, როცა უცხო ქვეყნიდან დროებით ჩამოსული ადამიანები აქ ისეთ სულიერ გარემოს პოულობენ, უკან დაბრუნება აღარ უნდათ. მამა ალექსანდრემ ლუის ნავაროს მაგალითი დაასახელა და თქვა, რომ წინა დღეს ეკლესიაში მოულოდნელად მივიდა ქართველებისთვის კარგად ნაცნობი პერსონა და მართლმადიდებლად მონათვლა ითხოვა.

„მართალი გითხრათ, გავოცდი, მაგრამ, როცა ამ ადამიანის აღსარებასავით ნათქვამი მოვისმინე, ცრემლი მომადგა, – თქვა მამა ალექსანდრემ, – ნავარომ მითხრა, ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მიცხოვრია, მაგრამ ისეთი ტკბილი, თბილი და ზნეობრივი ხალხი, როგორიც საქართველოში ცხოვრობს, არსად მინახავსო. დიდხანს ვეძებდი მიზეზს და მივხვდი, რომ ეს ყველაფერი თქვენი რწმენიდან მოდისო. ისიც გაგვიმხილა, რომ საბოლოოდ აქ დარჩენას აპირებს და იხუმრა, აქ დამმარხეთო".

ლუის ნავარო შაბათს ბეთლემის მამებმა მართლმადიდებლად მონათლეს. იგი ამერიკის მოქალაქეა, წარმოშობით პერუდან და როგორც თვითონ უთქვამს, არც ერთი რწმენის მიმდევარი არ ყოფილა. (ნიუპოსტი)



„გამყალბებლებს, ვინც ბოლო 20 წლის მანძილზე არჩევნების შეუცვლელ გამბახებლებად ითვლებოდნენ, დღეს პირველი ოპოზიციური ძალა ჰქვიათ. ხათუნა გოგორიშვილი მარნეულში საარჩევნო კომისიას მორალს რომ წაუკითხავს, ხომ უნდა ამოყირავდე სიცილით“

# აფსენტეიზმის შემთხვევაში, ეს არჩევნები თბილისში გარდაუვლად ჩაშლილად გამოცხადდებოდა

## „რას უნდა ველოდოთ მეორე ტურში? „ქართული ოცნების“ გამარჯვებას, მაგრამ ეს სიხარულის საფუძველს არ უნდა აძლევდეს ხელისუფლებას“

საქართველოს ისტორიაში ეს იყო უპრეცედენტო არჩევნები, სადაც ამომრჩეველმა თავისი ძალა იგრძნო, ხელისუფლებამ კი ვერ გაბედა არჩევნების ისე გაყალბება, რასაც წლების მანძილზე აკეთებდა ქვეყნის მმართველი გუნდი, შევარდნაძის მმართველობიდან დაწყებული, სააკაშვილის რეჟიმით დასრულებული, არჩევნები ძალადობით, „ზონდერების“ გამოყენებით, ბომბების შეგდებით, მოსახლეობის დაშინებით, პატიმრების გაუპატიურებით, კანონიერი ქურდების არჩევნებში ჩართვით, „კარუსელების“ გამოყენებით და უამრავი აკრძალული მეთოდით იხანგრძლივებდნენ ძალაუფლებას, ის გამყალბებლებს კი, ვინც ბოლო 20 წლის მანძილზე არჩევნების შეუცვლელ გამბახებლებად ითვლებოდნენ, დღეს პირველი ოპოზიციური ძალა ჰქვიათ. ხათუნა გოგორიშვილი მარნეულში საარჩევნო კომისიას მორალს რომ წაუკითხავს, ხომ უნდა ამოყირავდე სიცილით, ბიძინა ივანიშვილის „ფაფარაშლილი ლომი“ გიგი უგულავა რომ გაგექაჩება და „ალიბაბას ყაჩაღთაგანი“ გივი თარგამაძე ჰაკიმ ფაშას, რომ დაგიძახებს, ერთი კარგად უნდა იბწკინო და გადაამოწმო, იმქვეყნიურ ჯოჯოხეთში ხომ არ გაგიყოლეს „ნაციონალებმა“...

მოსახლეობის 70% პროტესტს უცხადებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, სწორედ იმიტომ, რომ დამნაშავე რეჟიმს, დღეს ოპოზიციური ძალა ჰქვია. როცა დამნაშავესთან შედიხარ კოჰაბიტაციაში, ეს ნიშნავს, რომ ხალხის თვალში შენც დამნაშავე ხარ, სადაც არ არის სამართალი, იქ არ არის მშვიდობა და ეს არჩევნები არის სწორედ იმის მანიშნებელი, რომ მომავალ 2016 წლის არჩევნებამდე არ იქნება მშვიდობა, თუკი დამნაშავე რეჟიმი არ გასამართლდება და ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა. თუკი ხელისუფლება არ გამოვა სირაქლემას პოზიდან და რეალობას არ გაუსწორებს თვალს, „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ქვეყანაში ვერასოდეს გაიმარჯვებს. მათ გამარჯვების ერთადერთი შანსი აქვთ, თუკი ამოწყვეტენ ქართველებს, ან გადაასახლებენ ამ ქვეყნიდან, სად წავა მათგან გამწარებული მინიმუმ მილიონ-ნახევარი ამომრჩეველი მაშინ, როცა საქართველოში სულ სამი მილიონ ხუთასი ათასი ამომრჩეველია?

და მაინც, რისკები რომ მინიმუმამდე დაწიოს ხელისუფლებამ, ამისთვის საჭიროა, გამოფხიზლდეს და ხალხთან მეტი კომუნიკაცია დაამყაროს, უარი თქვან 80-ათასლარიან სახელფასო დანამატებზე, გაემიჯნონ „ნაციონალების“ რეანიმაციის პროცესს, მიწაზე დაეშვან, ადეკვატურები იყვნენ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს არ აკეთებდნენ. იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადება, რომ ხალხმა არჩევნებს, ფეხბურთის ჩემპიონატის ცქერა ამჯობინა, მისი ცინიკური გამონათქვამების მარგალიტებს სცდება, ეს რაღაც ახალი მიგნებაა. უკაცრავად და ამ „ხორკლიან“ ქალაქს, მერობის კანდიდატად დავით ნარმანიას რომ წარუდგენთ, მადლობა გადაუხადეთ თბილისელებს, სამინისტროს შესასვლელში ნეხვს რომ არ გახვედრებენ, სხვათა შორის, არ მგონია, თეა წულუკიანს ნარმანიას კანდიდატურა გულზე ეხატებოდეს, ეს მაშინ როცა მისი მეგობრების სიაში „კაი ბიჭები“ ძმები ჯოხაძეები არიან. რამ გამახსენა ახლა ეს ფაქტი, მაგრამ გარემოებამ მოიტანა, და კიდევ, დავით ნარმანიას დედას ქართველი პოლიტიკოსებიდან მოსწონს გიგი უგულავა, ეს მან თავის ინტერვიუში განაცხადა. ნარმანიას კანდიდატურის ლობისტს, ბიძინა ივანიშვილს კი დამსახურებულად სძულს კორუფციაში ეჭვმიტანილი „ფაფარაშლილი ლომი“ გიგი უგულავა, ახლა ეს ამბავი როგორ გავიგოთ? იქნებ „ოცნებას“ თბილისელებისთვის მადლობა აქვს გადასახდელი, რომ 46% გავაქაჩვინეთ? სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, რომელმაც ქალაქს პრეზიდენტ, გიორგი მარგველაშვილის შემდეგ, მერობის პოსტზე დავით ნარმანიას კანდიდატურა შესთავაზა. პრეზიდენტის შემთხვევაში მას არ გაუმართლა, გაუმართლებს კი იმედებს ნარმანია? ამ კითხვაზე ბიძინა ივანიშვილმა მისივე ქმედებით პასუხი გასცა, მან არჩევნებში მონაწილეობა ნატანებში მიიღო და იქ დააფიქსირა თავისი ხმა. ასე რომ, მეორე ტურში გამარჯვებული ნარმანია არ იქნება ბიძინა ივანიშვილის მიერ ლიგიტიმურად არჩეუ-



„იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადება, რომ ხალხმა არჩევნებს, ფეხბურთის ჩემპიონატის ცქერა ამჯობინა, მისი ცინიკური გამონათქვამების მარგალიტებს სცდება, ეს რაღაც ახალი მიგნებაა. უკაცრავად და ამ „ხორკლიან“ ქალაქს, მერობის კანდიდატად დავით ნარმანიას რომ წარუდგენთ, მადლობა გადაუხადეთ თბილისელებს, სამინისტროს შესასვლელში ნეხვს რომ არ გახვედრებენ“

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სტიქიამ გურჯაანის რაიონის სამი სოფელი დააზარალა



სეტყვამ და ქარიშხალმა გურჯაანის რაიონის სამი სოფელი დააზარალა. სოფელ გურჯაანში, ჭანდარსა და ვეჯინში სტიქიამ ატმის მოსავალი და ვენახები დააზიანა. ადგილობრივების თქმით, ქარი და სეტყვა დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, რამაც ვენახების 50 პროცენტი გაანადგურა. მოსახლეობა დახმარებას ხელისუფლებისგან ითხოვს. (ინტერპრესნიუსი)

## დარიალის ხეობაში კიდევ ერთი ცხედარი იპოვეს



შსს-ს განცხადებით, ცხედრის იდენტიფიცირება, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. დარიალის ხეობაში ჩამოწოლილი მეწყრის ზონაში აღმოჩენილი გვამი თბილისში, ექსპერტიზაზე გადმოასვენეს.

ხეობაში მეწყერი 17 მაისს ჩამოწვა. სტიქიას რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა. (ინტერპრესნიუსი)

## პრემიერი გერმანიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და გერმანიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოსთვის გრანტისა და შეღავათიანი სესხის სახით გამოყოფილი თანხის მნიშვნელობას, რომლის მოცულობაც დაახლოებით 465 მილიონ ევროს შეადგენს.

ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ გერმანიის მეშვეობით ფინანსდება საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი; ბათუმში წყლისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ასევე, იწყება ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ქუთაისში ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც ქუთაისის გარდა, ხუთ მიმდებარე რაიონს მოემსახურება. (ნიუპოსტი)

## „ეროვნულმა ფორუმმა“ შესაძლოა, საარჩევნო ადმინისტრაციაში ადგილი დაკარგოს

„ეროვნულმა ფორუმმა“ შესაძლოა, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის კომისიაში ადგილი დაკარგოს და მისი ადგილი ბურჯანაძის გუნდმა დაიკავოს.

სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ცენტრის დამკვირვებლის, ვლადიმერ ბოჟაძის განცხადებით:

„დაფინანსებას არ დაკარგავენ, დაფინანსება დარჩებათ, რადგან მათ აქვთ დაფინანსება 2012 წლიდან, უბრალოდ, ნინო ბურჯანაძის პარტიის დაფინანსება ამ არჩევნების შედეგების მიხედვით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე კოალიციის დაფინანსების 1/6. მოხდება ეს პროცედურა, თუმცა „ფორუმს“, რა თქმა უნდა, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი დარჩება“, – განაცხადა ბოჟაძემ. (ფრონტნიუსი)

## თამარ ჩერგოლეიშვილი: „ღრმად ისუნთქეთ“



ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსა და წინასწარ შედეგებზე მმართველი გუნდის რეაქციას სოციალურ ქსელში ეხმიანება:

„ალექსი პეტრიაშვილმა და მაია ფანჯიკიძემ დიპლომატებს მოახსენეს, რომ ეს იყო ისტორიული დღე და პირველად ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნები თავისუფალ, სამართლიან გარემოში.

ა) სამართლიანად და თავისუფლად გაიტენა ყუთები მარნეულში (და სხვაგანაც) ბიულეტენებით ბ-ნი ნაზიმის მიერ;

ბ) სამართლიანად და თავისუფლად ისროდნენ კვერცხებს წინასაარჩევნო შეხვედრებზე მმართველი პარტიის აქტივისტები;

გ) სამართლიანად და თავისუფლად ესროლეს გოგა ონიანს არჩევნების ღამეს;

დ) სამართლიანად და თავისუფლად გაიტაცეს შეიარაღებულმა პირებმა საარჩევნო ყუთი სამეგრელოში;

ე) სამართლიანად და თავისუფლად მოხსნა კანდიდატურა ოპოზიციის 400 კანდიდატმა;

ვ) სამართლიანად და თავისუფლად ახდენდა ზეწოლას პოლიცია ათობით კანდიდატზე კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნით;

ზ) სამართლიანად და თავისუფლად დააბრალა პრემიერმა მკვლელობა ოპოზიციის კანდიდატს;

თ) სამართლიანად და თავისუფლად ზის ოპოზიციის არაერთი კანდიდატი ციხეში.

ღრმად ისუნთქეთ!“ – წერს ჩერგოლეიშვილი. (ფრონტნიუსი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ლი ქალაქის მერი.

ივლისის ბოლოს 8 ქალაქში მეორე ტური გაიმართება, ეს ხელისუფლება ნამდვილად შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში, როგორც პირველი ხელისუფლება, რომელმაც ჩაატარა და დაამკვიდრა სამართლიანი და თავისუფალი




„რას უნდა ველოდოთ მეორე ტურში? „ქართული ოცნების" გამარჯვებას, მაგრამ ეს სიხარულის საფუძველს არ უნდა აძლევდეს ხელისუფლებას, რადგან ეს იქნება გაბრაზებული ხალხის ბოლო მანდატი, შინაგანი ლოზუნგით — „ნაციონალებს" მაინც არ გავამარჯვებინებთ!"

არჩევნების ტრადიცია, ესაა რეალური ობიექტურობა, დაფიქსირდა თითოეული ამომრჩევლის ნება, ხელისუფლებას არ შეშინებია 50%-იანი ბარიერის დაწესება, რითაც გაიზარდა მერებისა და გამგებლების ლეგიტიმაცია. ისე, ძვირფასო ხელისუფლება, დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე აფსენტეიზმი გამოგრჩათ, როგორც ეს დასავლეთშია მიღებული, კერძოდ, როდესაც არჩევნებზე არ მოდის კანონით განსაზღვრული ხალხის რაოდენობა, არჩევნები ჩაშლილად ცხადდება! აფსენტეიზმის შემთხვევაში, ეს არჩევნები თბილისში გარდაუვლად ჩაშლილად გამოცხადდებოდა, თუკი კანონით განისაზღვრებოდა მოქალაქეთა აქტივობის 50 პროცენტი. ასე რომ, მადლობა გადაუხადეთ ხალხს!

რას უნდა ველოდოთ მეორე ტურში? „ქართული ოცნების" გამარჯვებას, მაგრამ ეს სიხარულის საფუძველს არ უნდა აძლევდეს ხელისუფლებას, რადგან ეს იქნება გაბრაზებული ხალხის ბოლო მანდატი, შინაგანი ლოზუნგით – „ნაციონალებს" მაინც არ გავამარჯვებინებთ! ის, რომ არ დაუშვებთ არც ერთი პოლიტიკური ძალის გამარჯვებას, ამას ხელისუფლება არ უნდა ამბობდეს და ხალხმა აქაც თავისი ძალა აჩვენა „ოცნებას". „დარწმუნებული ვარ, რომ მეორე ტურში ხალხს მოტივაცია გაეზრდება და კიდევ ერთხელ დააფიქსირებს საკუთარ არჩევანს". – აცხადებს პრემიერ-მინისტრი. დიახ, პრემიერო, ხალხი მოტივირებულია გადაარჩინოს საკუთარი თავისუფლება და არა ის ხელისუფლება, რომელიც ამ ხალხს რეჟიმის გასამართლებას დაჰპირდა და არა მათ რეანიმაციას!

და მაინც, რატომ იხდის პრემიერი ღარიბაშვილი მადლობას? „არჩევნებში, მონაწილეობდა 16 ათასი კანდიდატი, ხალხს მიეცა საშუალება, აერჩია 2 ათასი კანდიდატი. თითოეული ამომრჩევლის ნება დაფიქსირდა, გამართულად დამოუკიდებლობად მუშაობდა საარჩევნო ადმინისტრაცია და ხელისუფლება არ ჩარეულა არაფერში. მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, პირველ რიგში ამომრჩეველს, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს, მადლობა, კანდიდატებს, დამკვირვებლებს... ჩვენ შევიმუშავეთ პირველად თვითმმართველობის ახალი კოდექსი და შემოვიღეთ 50%-იანი ბარიერი, გაცნობიერებული გვქონდა, რომ აღნიშნული ბარიერის შემოღებით იქნებოდა ალბათობა, რომ მეორე ტური გამართულიყო. ჩვენ შეგნებულად წავედით ამ ექსპერიმენტზე. ჩვენი ამოცანა იყო, რომ ხალხი შეერჩიოს დემოკრატიულ არჩევნებს და მათ რეალურად აირჩიონ მათთვის სასურველი კანდიდატები. მესმის, რომ რამდენიმე ოლქში შეიძლება გაიმართოს მეორე ტური, ეს დაკავშირებულია ხარჯებთან, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტი სარგებლის მიღება შეგვიძლია ამ პრეცედენტის დაშვებით. ეს იქნება სიკეთის მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის. ეს ხარჯი არის გამართლებული. საამაყოა, რომ ეს პრეცედენტი ვერ დაუშვა ვერც ერთმა ხელისუფლებამ. ეს დავამკვიდრეთ ჩვენ. თბილისში იყო 30%-იანი ბარიერი, ჩვენ რევოლუციური თვითმმართველობის არჩევნები ჩავატარეთ, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ხალხს უნდა გადაეწყვიტა, ვის აირჩევდა ის მისთვის სასურველ ქალაქსა და სოფელში და რაც მთავარია, ჩვენი მხრიდან გამორიცხული იყო ძალდატანება და იძულება. დარწმუნებული ვარ, რომ მეორე ტურში ამომრჩევლს გაეზრდება მოტივაცია, კიდევ ერთხელ დააფიქსიროს საკუთარი არჩევანი"...



„სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, რომელმაც ქალაქს პრეზიდენტ, გიორგი მარგველაშვილის შემდეგ, მერობის პოსტზე დავით ნარმანიას კანდიდატურა შესთავაზა. პრეზიდენტის შემთხვევაში მას არ გაუმართლა, გაუმართლებს კი იმედებს ნარმანია?"

პრემიერო, გზავნილი სწორია, თუმცა გარემოცვა გყავთ არასწორად შერჩეული და თუკი საკუთარი მინისტრების ხელფასებსა და მათ დანამატებსაც გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ ქვეყანას მათი შენახვა ძალიან გაუჭირდება, ისე კი ბიძინა ივანიშვილიც ამ გზით რომ წასულიყო, დაეხარჯა ფული და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამოეცხადებინა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, დღეს ეს სავალალო შედეგებიც არ იქნებოდა და პარლამენტიდან არ დაგვმოძლვრავდა „დამნაშავე რეჟიმი", რომლის გადარჩენისთვისაც ასე ილვაწა თქვენმა კოალიციამ!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პრემიერს, ეტყობა, ბიძინამ ყური აუწია... ნაკლები იცანცარეო..."



პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის პრესკონფერენციას საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით საყვარელიძე „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე ეხმაურება.

„პრემიერის თავის მართლებითი შინაარსის პრესკონფერენცია (დემოკრატიის სულისკვეთებით შენიღბული) ისეთი მძიმე საყურებელი იყო, რომ შემეცოდა სადღაც))) ეტყობა, ბიძინამ ყური აუწია. შემდეგში რადარები ან კარგად გაწმინდე ან გამოცვალეო, მიახურა და ასევე დაამატა, ალბათ, ნაკლები იცანცარეო!) ძალიან მომეწონა ჰაკიმის სიღრმისეული ანალიზი, რომ თურმე პარტია, ანუ ამ შემთხვევაში ჩვენ, არ ვართ ადამიანების გაერთიანება) ანუ კანდიდატი სხვა სამყაროდანაა და პარტია სხვაა)))) და ხმას ჩვენ არ გვაძლევდნენ სინამდვილეში))) ჰაკიმ, ძალიან უსუსური იყავი) გეთქვა აწი, ბიძინასი არ იყოს, შემეშალაო...." – წერს საყვარელიძე. (ნიუპოსტი)

## ტელეკომპანია „იმედი" სპეციალურ განცხადებასავრცელებს




ტელეკომპანია „იმედი" საარჩევნო ეგზიტპოლებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„საზოგადოებაში არსებული მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, ტელეკომპანია „იმედის" დამფუძნებლები და მენეჯმენტი ვაცხადებთ, რომ ტელეკომპანია ეგზიტპოლების შემსრულებელ კომპანიასთან არკვევს ეგზიტპოლსა და არჩევნების ოფიციალურ წინასწარ შედეგებს შორის არსებული ცდომილების მიზეზებს და მოგვიანებით გააკეთებს შესაბამის განცხადებას. ამავდროულად, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტელეკომპანიის მენეჯმენტში არ განხორციელებულა არანაირი საკადრო ცვლილება", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „საერთაშორისო გამჭვირვალობამ" 16 საჩივარი დაწერა



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" ქვეყნის მასშტაბით 30-მდე სერიოზული და 15 შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი დარღვევა დააფიქსირა და 16 საჩივარი დაწერა.

„ზოგიერთი ოლქი, მაგალითად, მარტვილი და ზუგდიდი დარღვევების რაოდენობითა და დაძაბულობით გამოირჩეოდა. მიუხედავად დაფიქსირებული დარღვევებისა, უმეტესობას ჰქონდა ტექნიკური ხასიათი და მათ არ შეეძლოთ, მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ არჩევნების საბოლოო შედეგებზე. დარღვევების ძირითადი ტენდენციები იყო: საარჩევნო სიებთან დაკავშირებული პრობლემები, ხმის მიცემა მარკირების პროცედურების დარღვევით, დამკვირვებლებისთვის ხელის შეშლის ფაქტები, გადასატანი ყუთების სიებში უზუსტობების პრობლემა, ხმის მიცემა არასათანადო დოკუმენტაციით, ზეწოლა ამომრჩევლებზე, ხმის მიცემის პროცესის ჩაშლის მცდელობა, საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრების კვალიფიკაცია და მათ მიერ საარჩევნო პროცესის წარმართვა, ხმის დათვლის პროცედურების ჩაშლა". – განაცხადა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა. (ფრონტნიუსი)

## კოალიცია დარღვევებს ემიჯნება



„ქართული ოცნების" პრესსპიკერის გიორგი გეგეჭკორის განცხადებით, კოალიცია ცალსახად ემიჯნება საარჩევნო პროცედურების ნებისმიერ დარღვევას:

„მოვუწოდებთ შესაბამის ორგანოებს, გამოიკვლიონ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ბრიფინგზე წარმოდგენილი ვიდეოკადრები და პასუხი აგებინონ ნებისმიერ პირს, რომელიც ბრალდებული იქნება ამომრჩევლის ხმების გაყალბებაში.

ძალიან უცნაურია, რომ მარნეულში, სადაც „ქართულმა ოცნებამ" თავისი პარტიული ინტერესები ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ დათმო და სადაც „ნაციონალურ მოძრაობას" აქტივისტების განსაკუთრებული მობილიზება ჰქონდა გამოცხადებული, როგორ მოხერხდა, რომ ასე ღიად ხდებოდა ხმების გაყალბება და მათ არც ერთ წარმომადგენელს ამაზე პრეტენზია ღიად არ გამოუთქვამს. რომ აღარაფერი ვთქვათ ადგილობრივებისთვის იმ ცნობილ ფაქტზე, რომ კადრებში აღბეჭდილი პიროვნება პარლამენტის „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატის, აზერ სულეიმანოვის ახლობელი და მეგობარია", – განაცხადა გეგეჭკორმა.

მისი განცხადებით, საქმე გვაქვს კარგად დაგეგმილ პროვოკაციასთან, რომელიც საარჩევნო პროცესის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული.

„ნაციონალური მოძრაობა" ჩვეული ხერხებით განაგრძობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და პირადი ინტერესების გამო ეთნიკური დაძაბულობის ინსპირირებას ცდილობს. მოვუწოდებთ საზოგადოებას, მათ შორის ჩვენს ეთნიკურ უმცირესობებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე. „ქართული ოცნება" არის ხალხის ხელისუფლება, ის არ ჰყოფს მოსახლეობას თავისი და სხვისი პოლიტიკური ინტერესების მიხედვით და მისთვის მთავარი ქვეყნის საერთო ეროვნული ინტერესებია. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ ჩატარებული არჩევნების დისკრედიტაციას, მით უმეტეს ეთნიკურ ნიადაგზე რაიმე ტიპის დაძაბულობას. ყველა დამნაშავე უმკაცრესად დაისჯება, მიუხედავად მისი პოლიტიკური კუთვნილებისა და სიმპათიებისა", – აღნიშნა გეგეჭკორმა. (ნიუპოსტი)

## მარნეულში მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო



შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელის ნინო გიორგობიანის განცხადებით, შსს-მ მარნეულის 25-ე და 57-ე საარჩევნო უბნებზე მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლით დაიწყო, რაც არჩევნების შედეგების გაყალბებას გულისხმობს.

„ამ დროისთვის მიმდინარეობს ოპერატიული სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულის ჩამდენი პირების დასადგენად, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მკაცრად დაისჯება ამ ინციდენტში მონაწილე ყველა პირი, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად", – აღნიშნა გიორგობიანმა.

მარნეულში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ვიდეომასალა დღეს „ნაციონალურმა მოძრაობამ" გაავრცელა. კადრებში ნათლად ჩანს, ერთი და იგივე პიროვნება როგორ ახორციელებს საარჩევნო ყუთთან, რამდენიმე ბიულეტენის, რამდენჯერმე ჩაყრას. (ნიუპოსტი)

## სკანდალის გაგრძელება — ეკა კვალიაშვილს პირადი ექიმი პასუხობს: „ამას არ ვახმაურებდით“



ჟურნალ „რეიტინგში“ მომღერალ ეკა კვალიაშვილის შვილის, ნუკას ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც გოგონა დედის ავადმყოფობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობდა. ნუკა წუხდა იმის გამო, რომ ცალკეულ კომპანიებს, რომლებიც ეკას ფინანსურ მხარდაჭერას დაჰპირდნენ, ანგარიშზე ფული დღემდე არ გადმოურიცხავთ.

ცნობილი მომღერლის შვილი კომპანიებთან ერთად ეკას პირად ექიმს, გოგიტა გეგელაშვილსაც ადანაშაულებდა:

– მერიის კულტურის სამსახურს გამოყოფილი აქვს ათი ათასი ლარი, მაგრამ სჭირდებათ ფორმა ასი და ხარჯთაღრიცხვა, რომ გადარიცხოს. მანამდე კი ეკამ თურმე „პოსლეზე“ უნდა გაიკეთოს ყველაფერი, როგორც პარიზის კლინიკის შემთხვევაში მოხდა. ეს ბიუროკრატიული საქმეები უნდა მოეგვარებინა ექიმ გოგიტა გეგელაშვილს, მაგრამ მან ერთ მშვენიერ დღეს დიდი საქაღალდე, თავისი საბუთებით, მოუტანა ეკას და უთხრა, რომ მას უნდა ერბინა ამ ყველაფერზე. ვერ გავიგე, ვინაა დედაჩემი, ავადმყოფი თუ ბუღალტერი?! სხვას ვერაფერს ვერ დავარქმევ მის ამ საქციელს თუ არა უპასუხისმგებლობას, რაც ექიმის პროფესიისთვის სავალალოა.

ამ თემაზე კომენტარს გოგიტა გეგელაშვილიც აკეთებს:

– მე დავუკავშირდი სამინისტროსა და მერიის წარმომადგენლებს. ისინი მზად არიან ყველა ხარჯი აანაზღაურონ, გადარიცხონ თანხა, რომელსაც დაჰპირდნენ მომღერალს. ამისთვის ქალბატონმა ეკამ უნდა დაწეროს განცხადება. რაც შეეხება ინვოისებს, რომელიც პარიზიდან ჩამოვიდა, ეკას დავუხარისხე და ვუთხარი, ხვალ ამ საბუთებით მიხვალ მერიაში, დაწერ განცხადებას და გეტყვიან, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი-მეთქი. მე რატომ უნდა მომეგვარებინა? მე ვარ ეკას მკურნალი ექიმი. არც სამინისტროში და არც მერიაში არ ვყოფილვარ ექვს წელიწადზე მეტია. განცხადებას მის მაგივრად ხომ ვერ დავწერ. ეს არის ფინანსური მოქმედება, რომელიც მოქალაქის პირადი განცხადების საფუძველზე კეთდება. ერთადერთი, რაც მე შემეძლო, ის იყო, რომ გავყოლოდი. ამას ნებისმიერი სხვაც გააკეთებდა. მე მანქანა არ მყავს, თან დრო არ მაქვს, სხვა უამრავი პაციენტი მყავს... ეკა კვალიაშვილის შემთხვევაში გაფანტული სკლეროზი ერთ-ერთ დიაგნოზად მაშინაც იყო დასახელებული, ოღონდ ამას არ ვახმაურებდით, რადგან ყველა ანალიზი ვერ ჩავატარეთ. მას მერე, რაც ეკამ გამოკვლევა ჩაიტარა პარიზში, დიაგნოზი დადასტურდა...

ნამდვილად არ მაქვს იმდენი დრო, ყველა პაციენტს მერიაში ან სხვა საქალაქო დაწესებულებაში გავყვე. თუ რაიმე პრობლემა შეექმნა, მე ვერ მოვუგვარებ. ერთადერთი, რაც შემიძლია, არის ის, რომ კვლავ დავრეკო სამინისტროში, მერიაში და ვიკითხო, რატომ უქმნიან ეკას პრობლემებს. სხვა არაფრის გაკეთება მე არ შემიძლია. როგორც მახსოვს, ცხრაას ევროზეა ლაპარაკი. თუ ამ თანხაზე ეკას ვინმემ უარი უთხრა, შევარცხვინე ასეთი ადამიანი. მე მაინც მგონია, რომ უბრალოდ გაუგებრობაა, თან ნათქვამი აქვთ, ვურიცხავთო, განცხადებაა, უბრალოდ, დასაწერი.

*newposts.ge*

## სტეფანე გიორგი გაბუნიას სტუდიაშიც არ ასვენებს



მუსიკოსმა ტელევიზორთან სელფი მაშინ გადაიღო, როცა ტელეწამყვანი გიორგი გაბუნია „კურიერის“ სტუდიიდან არჩევნების შედეგებს აცხადებდა.

– ეს არის წლის სელფი, – ამბობენ სტეფანეს „ფეისბუკის“ მეგობრები.

ფოტომ, როგორც ჩანს, „კურიერის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი გიორგი ლაფერაშვილიც დააბნია:

– ვახახახა, უცებ სტუდიაში შევიხედე, ვიდრე მივხვდი რაში იყო საქმე...

სტეფანე კი გაბუნიას რეაქციას ელოდება:

– აბა, ვნახო, დამილაიქა... :(( არა... ალბათ, არ უნახავს. შეიძლება ნახა და არ შეიმჩნია, – წერს ის.

*newposts.ge*

## გიორგი ბახუტაშვილი — ცოტნე მეცოდება



„ჩემი ცოლის დაქალების“ გმირი „ცოტნე“, იგივე გიორგი ბახუტაშვილი ჟურნალ „გზასთან“ ინტერვიუში საკუთარ გმირზე საუბრობს.

– ...ცოტნე მეცოდება. ადამიანი, რომელიც ტყუილში ცხოვრებას ირჩევს, ღირსია, ცხოვრება თავზე დაენგრეს. სადაც კი ტრიალებს, ვერც ერთ წრეში ნამდვილ სახეს ვერ აჩვენებს. პოლიტიკა ინტრიგების სფეროა და, რა თქმა უნდა, იქ დიდი დოზითაა თამაში; ოჯახშიც და საყვარელთანაც თამაშობს. ცოტნეს ნამდვილი სახე მაყურებელს მაშინ შეუძლია ნახოს, როცა მარტო რჩება. ჩემი გმირისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანი ვარ, – ამბობს გიორგი ბახუტაშვილი.

*pia.ge*

## არქიმანდრიტი ანთიმოზი: „მანჩოოოო! პელე ხარ!“



მანჩო გიორგობიანი, რომელიც საზოგადოებამ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ნიკა მელიასთან დაპირისპირების შემდეგ გაიცნო, „ფეისბუკზე“ მეგობრის სტატუსს აქვეყნებს:

– ჩვენი მეგობრის სტატუსი: რასაკვირველია, ეს არ არის თავის მართლება. უბრალოდ, მინდა ზუსტად ავხსნა ჩემი პოზიცია, რომელსაც დღესაც ვიზიარებ და ხვალეც იგივე აზრზე ვიქნები... უმადური არასდროს არ ვყოფილვარ და დღესაც ძალიან მადლობელი ვარ ბიძინასი, რომ გადაგვარჩინა. რომ არა ბიძო, ეს ბოლო წლები გლდანის კედლებზე დავწერდით პოსტებს უმრავლესობა. თუმცა ეს ბრძოლა მარტო ბიძოს არ მოუგია, ჩვენ ერთად მოვიგეთ. პატივს ვცემდი ჩემს თანამებრძოლს და იგივე პატივისცემას ვითხოვდი მისგანაც (ფული, ბიზნესი და თანამდებობა არ მითხოვია) და სამაგიეროდ მივიღე ჩემი და ჩემი ქალაქის უპატივცემულობა ნარმანიას დასახელებით. მიუხედავად ჩვენი პროტესტისა, მან გადაწყვეტილება არ შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ „ოცნებას“ თვითონ არ მოეწონა, ისინიც „მიჩმორდნენ“. მიშას ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის არაფერი დაუშავებია, მე მის დამოკიდებულებას ვებრძოდი ყოველთვის. ნარმანია რომ ყოფილიყო დამოუკიდებელი კანდიდატი, ვინ მისცემდით ხმას? – ალბათ, აქედან არც ერთი! ბიძოს ხათრით რამდენმა მიეცით ხმა? – ალბათ, 40-50%-მა. „ნაცების“ ჯინაზე რამდენმა მიეცით ხმა? – ალბათ, ყველამ. რას აპროტესტებთ? – „ნაცების“ მეორე ადგილს! ვისი დამსახურებაცაა „ნაცების“ მეორე ადგილი, ეს ჩემი მეორე პრეტენზიაა. ის, რომ დღეს, 2 წლის შემდეგ (ვინ წარმოიდგენდით მაშინ 2 ოქტომბერს მაგას), გიგი თავხედი მუშტებს მირტყამს მაგიდაზე, ბარამიძე ბედავს და თითს მიქნევს, „არაფერი შეგეშალოთო“, მიყვირის, ის ნაძირალა, რომელიც „სულს ამოგხდითო“, გვეძახდა, დღესაც ტვ-დან მორალურად სულს მხდის, ვინც გვირტყამდა 9 წელი, დღეს ლამის დააწინაურეს, ნაბიჭვარი კეზერას სალაროს ფული გულაობს ქალაქში და აბოგინებს ამათ – აბა, ვის ელოდებოდით მეორე ადგილას? – წერს გიორგობიანი.

გიორგობიანის სტატუსს არქიმანდრიტი ანთიმოზი გამოეხმაურა.

„მანჩოოოო! პელე ხარ!“, – წერს არქიმანდრიტი.

*reportiori.ge*

## „არიან ადამიანები, რომლებიც ჩემზე ჩუმად არკვევენ რაღაცებს...“



მომღერალ რატი დურგლიშვილისთვის პოპულარობა მეტ ადამიანთან ურთიერთობას ნიშნავს.

– არასოდეს!.. როცა მეუბნებოდნენ ხოლმე, თავში არ აგივარდესო, ვერ ვხვდებოდი, ეს რა იყო. შემხვედრია ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც სცენაზე ორჯერ გამოჩენილან და ამის შემდეგ გაამაყებულან. მგონია, რომ ასეთი რამ ძირითადად მათ ემართებათ, ვისაც ნიჭის ნაკლებობა აქვს. როცა სხვა გლობალური საკითხები გაღელვებს, თავში ავარდნისთვის ველარ მოიცლი. ცხვირაბზუებულ სიარულსა და დაბალი ღობის ძიებაში კარგი არაფერია. ღმერთის წინაშე გეფიცები, რომ თვითტკბობაში არასდროს ჩავვარდნილვარ. „ახალი ტალღა“ რომ მოვიგეთ, მე და მაკა ერთმანეთს ვეკითხებოდით, რა მოხდაო. ის შეიცვალა, რომ ენერგიისგან დავიცალე, იმდენ ადამიანთან მიწევდა ურთიერთობა და მათ კომპლიმენტებზე პასუხი. ერთადერთი რამ, რაც მაწუხებს, ეს არის ჩემი გლობალური კონტროლი. ჩემ გარშემო არის ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც არ მანახვებს, რომ ვაინტერესებ და სინამდვილეში ჩუმად არკვევს რაღაცებს. ეს კატასტროფაა. ასეთი ადამიანები ამაყად მისხედან წინ და ვიცნობ მათ. არ ვიცი, რატომ აინტერესებთ, სად და ვისთან ერთად დავდივარ. სადმე თუ ვიყავი, დედაჩემს ურეკავენ და აწვდიან ინფორმაციას. ყველაზე მთავარი დედის აზრია. რამდენჯერმე იყო ასეთი ფაქტი, არ ვიცი, კარგი უნდათ ჩემთვის? ამას წინათ კაზინოში ვიყავი და დედაჩემს დაურეკეს, – განაცხადა დურგლიშვილმა „რეიტინგთან“ ინტერვიუში.

*pia.ge*

## რატომ გადაიტანა ონისე ონიანმა 16-ჯერ კლინიკური სიკვდილი თავისი ძაღლის გამო



მსახიობის თქმით, თავისი ძაღლი მას მაღაზიაში სიგარეტის მოსატანად ეგზავნება.

– ახლა ორი ძაღლი მყავს, მაგრამ ერთი – შავი კოკერსპანიელი, სახელად პეგი, ძიძას გავატანეთ, რადგან ჩემი როკი ვერ შეეჩვია, გადაეკიდა და აწვალებდა. ვხუმრობ ხოლმე, პეგი გოგო იყო და გავათხოვე, გვარის გამგრძელებელი, თეთრი ლაბრადორი როკი კი სახლში დავტოვე-მეთქი. სხვათა შორის, პეგი უმზითვოდ კი არ გამისტუმრებია სახლიდან თან გავატანე ლეიბი, საბანი, ჯამი და ჭურჭელი. მაგრამ ახლა შავ დღეში ვარ. როკი გაიზარდა და დღე და ღამე საცოლეებს დასდევს. 16-ჯერ დაიკარგა და 16-ჯერ გადავიტანე ამის გამო კლინიკური სიკვდილი. რაც ყელსაბამი გავუკეთე დავისვენე. ვიცი, ვერსად დაიკარგება და აუცილებლად მომიყვანენ. თუ თავად ვერ მოაგნო სახლის კარს. დამიჯერეთ, ხან ონკოლოგიური საავადმყოფოდან მომყავს და ხან რესპუბლიკური საავადმყოფოდან. ვბრაზობ, კაცო, ექიმი ხომ არ არის ეს ჩემი ძაღლი, რას დაძვრება ამ საავადმყოფოში-მეთქი. როკი ჩემი მესამე შვილია. „მოდი-წადი“ რომ ესმის, ეს გასაკვირი არაა, მაგრამ დაიჯერებთ თუ გეტყვით, რომ მაღაზიაში მეგზავნება სიგარეტის მოსატანად? – აცხადებს ონიანი „თბილისელებთან“ საუბრისას.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



სახლში დაბრუნებული ცოლი ქმარს ექიმთან ვიზიტის ამბებს უყვება:

– მოკლედ, ძვირფასო, ძალიან კარგი ექიმი შემხვდა და მირჩია, საბოლოოდ რომ განიკურნო, ერთი თვე ზღვაზე უნდა გაატარო, ერთი თვე – მთაში და ერთი თვე – სოფელშიო... აბა, მოიფიქრე, სად წავალთ პირველ რიგში?

– სხვა ექიმთან!!!

*****

– სულ ორი ადამიანით ვამაყობ – გაგარინით და ნიუტონით. ერთი ჩვენი პლანეტიდან გაქცევას შეეცადა, მეორემ კი დაამტკიცა, რომ პირველს არაფერი გამოუვიდოდა!..

*****

დიალოგი სოფლის ორღობეში:

– რა ხდებოდა გუშინ თქვენთან, რამე დღესასწაული გქონდათ, ყველანი რომ ცეკვავდით?

– რა ხდებოდა და ბაბუას შემთხვევით სკა გადაუყირავდა...

*****



– იცი, რა მაინტერესებს – როგორ ვასწავლო გოგოს ცურვა?

– მაგას რა უნდა – ნაზად მოხვიე ცალი ხელი თეძოზე, მისი მარცხენა ხელი შენი ხელით დაიჭირე, მერე კი...

– ოე, კვერცხო, ცურვა ჩემს დას უნდა ვასწავლო!

– მერე ეგრე დაგეწყო – ხიდიდან გადააგდე და ეგ არის!..

*****

მამაკაცი მალაზიაში:

– ამიწონეთ, გეთაყვა, 329 გრამი ძეხვი, 246 გრამი ყველი და 391 გრამი შაქარი...

გამყიდველმა მიაწოდა: ძეხვი, ყველი, შაქარი და პრეზერვატივები:

– აი, ბატონო, ეს პრეზერვატივი ჩვენგან საჩუქრად!

– კი, მაგრამ რისთვის?

– იმისთვის, რათა თქვენისთანები არ გამრავლდნენ!!!

*****

– შვილო, ეს ბიჭი ხომ ელამია, კოჭლი, მელოტი და ცალხელა, ნუ გაჰყვები ცოლად.

– ლამაზი არც მჭირდება!

– მე ის ვიგულისხმე, რომ ცხოვრებამ ისედაც დატანჯა და შენ მაინც დაინდე!..

*****

– საყვარელო, სად ხარ?

– საჭესთან ვარ, უკან კი ტრამვაი მომდევს, არ ვიცი, საით წავიდე!

– რელსებიდან გადადი და რაც მთავარია – ნავიგატორი ჩართე!

– არ ჩავრთავ, წელან საშინლად ვეჩხუბე!..

***მომზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## მსოფლიო რეკორდი მფრინავმა... სახლმა დაამყარა



როგორ ფიქრობთ, რამდენად არის რეალობასთან ახლოს, რომ ჰელიუმით სავსე ჩვეულებრივი ბუშტებით ზეცაში სახლი ავუშვათ? თუკი ეჭვი გეპარებათ, რომ შეუძლებელ დავალებასთან გვაქვს საქმე, დაგიმტკიცებთ, რომ ფრენა სახლსაც შეუძლია.

როგორც ირკვევა, ინჟინრების, მეცნიერებისა და პილოტების ჯგუფმა ჰელიუმით სავსე ბუშტებით სახლი მართლაც ააფრინა. მოსამზადებელ სამუშაოებზე, საერთო ჯამში, 2 კვირა დაიხარჯა, თუმცა, როგორც იტყვიან ხოლმე, „ჩიტი ბრდღვნად ღირდა“.

ექსპერიმენტში დაახლოებით 300 ბუშტი იქნა გამოყენებული. შეერთების შედეგად ბუშტების სიმაღლემ თითქმის 3 მეტრს მიაღწია. რაც შეეხება სახლს, მისი წონა 1 ტონას უტოლდებოდა, თუმცა ამის მიუხედავად, ჰაერში აწევა მაინც გამოვიდა – დაახლოებით 3 საათის განმავლობაში სახლი 3 კილომეტრის მანძილზე დაფრინავდა.

სხვათა შორის, ფრენის დროს სახლში რამდენიმე ადამიანიც იმყოფებოდა, რომლებიც მიწაზე მშვიდობიანად დაეშვნენ და საბოლოო ჯამში, რეკორდი გინესის წიგნში შევიდა.

***vesti.ru***

## გამოგონებები, რომლებიც 2020 წლისთვის კაცობრიობას სერიოზულად შეცვლიან



როგორი იქნება მომავალი მსოფლიო, ზუსტი პროგნოზების გაკეთება ძალიან რთულია, მაგრამ ის კი ნამდვილად ფაქტია, რომ თანამედროვე მეცნიერების მიღწევები კაცობრიობას უახლოეს მომავალში სერიოზულად შეცვლის.

სწორედ ასეთი გამოგონებების რეიტინგი შეადგინეს ამერიკაში, რომელიც ნამდვილად საინტერესოა და გადავწყვიტეთ, თქვენთვისაც გაგვეცნო.

როგორც ირკვევა, პირველ და მთავარ სიახლედ მოყვანილია სადგური, რომელსაც რობოტები... მთვარეზე ააგებენ.

ამერიკელების განმარტებით, ამ ურთულეს პროექტს იაპონელები განახორციელებენ: „მიუხედავად იმისა, რომ დამანგრეველმა მიწისძვრამ და ცუნამიმ ამომავალი მზის ქვეყანა უსაზღვროდ დააზარალა, პროექტი უკვე მზად არის და იაპონელების გარდა, მის რეალიზებას ვერავინ შეძლებს“, – მიიჩნევენ კალიფორნიის მომავლის მეცნიერების ინსტიტუტში.

მნიშვნელობის მიხედვით რიგით მეორე მიღწევა ზესწრაფი სარკინიგზო ხაზია, რომელიც ლონდონსა და პეკინს დააკავშირებს. რაც არ უნდა რთულად დასაჯერებელი იყოს, ეს ხაზი მსოფლიოს 17 ქვეყანას გაივლის და ევროპასა და აზიას შეაერთებს.

ასევე, 2020 წლისთვის უნდა მოხდეს ისეთი პროექტების რეალიზება, როგორებიცაა, მაგალითად, მანქანები ავტომატური პილოტებითა და მფრინავი ავტომობილები.

გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში კოსმოსში ფრენა აღარ იქნება ისე რთული, როგორც დღესაა და დედამიწის ფარგლებს გარეთ გასვლას ბევრი ადამიანი შეძლებს.



ორგანიზმში იმპლანტირებული მიკროჩიპების დახმარებით 2020 წლისთვის ადამიანს საშუალება ექნება, თავის ტვინის დახმარებით მართოს ტელევიზორები, მობილურები და კომპიუტერები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პროგნოზი, რომ, სულ რაღაც, 6 წელიწადში მზად იქნება ხელოვნური ინტელექტი, რომელიც იდეების გენერირებას ისევე შეძლებს, როგორც ადამიანის თავის ტვინი.

ჩამონათვალში ასევე შედის: ელემენტები, რომლებიც ჰაერით დაიტენება, სამგანზომილებიანი პროექციის მქონე მობილური ტელეფონები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

***conspi.ru***

## იაპონელებმა 1,65-მილიონდოლარიანი... ტორტი გამოაცხვეს




გასულ დღეებში ამომავალი მზის ქვეყანაში მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ტორტი გამოაცხვეს, რომლის ფასიც 1,65 მილიონი აშშ დოლარს უტოლდება.

მართალია, ტორტი სრულიად ჩვეულებრივი რეცეპტითაა გამომცხვარი, მაგრამ სამაგიეროდ, გაფორმებულია ბრილიანტის 223 თვლით, რამაც მას საპატიო სტატუსი მიაღებინა.

შეჭამენ თუ არა, ან რას უპირებენ იაპონელები 1,65-მილიონიან ტორტს, აღარ ზუსტდება.

***etotupo.ru***

## ცაციები მემარჯვენეებზე მშიშრები ყოფილან



ბრიტანელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ცაციები და მემარჯვენე ადამიანები ერთმანეთისგან მხოლოდ იმით სულაც არ განსხვავდებიან, რომ გარკვეულ დავალებებს საწინააღმდეგო მხრიდან ასრულებენ.

აღმოჩნდა, რომ ცაციები უფრო მშიშრები და მგრძნობიარეები არიან, ვიდრე მემარჯვენეები. შესაბამისად, მათი ფსიქოლოგიური ტრავმების მოშუშებას უფრო დიდი დრო სჭირდება.

ექსპერიმენტის ფარგლებში ცაციებსა და მემარჯვენეებს ჰოლივუდური ფსიქოლოგიური თრილერის „კრავთა დუმილის“ ყველაზე საშინელი მომენტები აყურებინეს, შემდეგ კი შეგრძნებების აღწერა სთხოვეს.

ჰოდა, დადგინდა, რომ გაცილებით უარყოფითი გავლენა ნანახმა ცაციებზე უფრო მოახდინა, ვიდრე მემარჯვენეებზე.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ცაციები უფრო ემოციურად რეაგირებენ ნებისმიერ სტრესზე და მათ უფრო მეტი დრო სჭირდებათ, რათა მისგან თავის დახსნა შეძლონ.

რა იწვევს ამ უცნაურ კანონზომიერებას, სპეციალისტები ვერ ხსნიან.

***myjane.ru***

## კალციუმი აბებში გულს ვნებს



ალბათ, ბევრი ექიმისგან გექნებათ გაგონილი, რომ თქვენს ორგანიზმს კალციუმი აკლია და აუცილებელია ამ უსიამოვნების სასწრაფოდ გამოსწორება. ბუნებრივია, დანაკლისს შევსება სჭირდება, მაგრამ საკითხავი ის არის: რის ფასად?!

კვლევების შედეგად ამერიკელი სწავლულები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ლაციუმი აბებში არცთუ უსაფრთხოა, განსაკუთრებით კი მშვენიერ სქესში.

კვლევაში მონაწილეობა სულ 16 ათასამდე ქალმა მიიღო და სწორედ ასეთი მასშტაბური მუშაობის შემდეგ დადგინდა, რომ აბებად დამზადებული კალციუმი ქალებში ინფარქტისა და ინსულტის რისკს 13-22 პროცენტით ზრდის.

აღსანიშნავია, რომ კალციუმს ხშირად უნიშნავენ ხანშიშესულ ადამიანებს ძვლების გასაძლიერებლად, თუმცა ფაქტია, ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად ექიმებმა სხვა გზები უნდა გამონახონ.

***myjulia.ru***

## პარკინსონის დაავადება დამარცხებულია?



რამდენადაც ცნობილია, პარკინსონიზმი, რომელიც ცენტრალურ ნერვულ სისტემას აზიანებს, დღემდე განუკურნებელ დაავადებათა ნუსხაში შედის, თუმცა გაჩნდა სერიოზული იმედი, რომ ამ პრობლემის მოგვარებაც მოხერხდება.

როგორც ირკვევა, ბრიტანელმა კევინ უორვიკმა, რომელიც კიბერნეტიკის პროფესორი ყოფილა, გამოიგონა მიკროჩიპი, რომელიც პარკინსონის დაავადებას ეფექტურად ებრძვის.

ჩიპი პაციენტის მკერდის არეში კანქვეშ მაგრდება და ელექტროიმპულსებს გზავნის ტვინის იმ ნაწილში, რომელიც პარკინსონიზმითაა დაზიანებული. ამით ჩიპი დაავადების კერას ანეიტრალებს, პაციენტს დამოუკიდებლად გადაადგილებისა და თითქმის სრულყოფილად ცხოვრების საშუალებას აძლევს. ერთადერთი სხვაობა ჯანმრთელი ადამიანისგან ის იქნება, რომ ასეთი ჩიპის მატარებელს წელიწადში ორჯერ ელემენტების გამოცვლა დასჭირდება.

რამდენიმე ასეულმა პაციენტმა ოქსფორდის, ლონდონისა და ნიუ-იორკის კლინიკებში უკვე მიიღო ჩიპები. დარჩა მხოლოდ მასობრივი წარმოების საკითხების მოგვარება და პარკინსონის დაავადება დამარცხებული იქნება.

სამწუხაროდ, ჩიპის ღირებულება არ ზუსტდება.

***tainamira.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. პოეტი ნიკოლოზ ...
2. თბილისის უბანი
3. კომპოზიტორი მიქაელ ...
4. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
5. ქალაქი სომხეთში
6. მხ/ფ „... რაიანის გადასარჩენად“
7. მხატვარი დიეგო ...
8. ქალის პატარა ხელჩანთა
9. ნიდერლანდის დედაქალაქი
10. უმაღლესი სპორტ. მიღწევა
11. მსახიობი ... მერფი
12. დიდი კაშკაშა მეტეორი
13. ხის ბაყაყი
14. ცხვრის ქონი
15. მდიდრული აგარაკი
16. საჭადრაკო ტერმინი
17. პრეზიდენტის ფიცი
18. უსაფუვროდ გამომცხვარი პური
19. ანჩხლი
20. მსახიობი ... დე ფიუნესი
21. ჩუქურთმა
22. ნილოსის რეპტილია
23. საკონდიტრო წანელებელი
24. ხილი
25. საბუღალტრო რვეული
26. ბარდი ვლადიმერ ...
27. სოფლის ტრანსპორტი
28. პატარა ტანის ძაღლი
29. ქალღმერთი რომაულ მით-ში
30. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი
31. მოკრივე ... მარჩიანო
32. გასაღები
33. მეჩეთის კოშკი
34. ბედი
35. ჰორიზონტის მხარე
36. უდაბნო პერუში
37. ცისარტყელას ქალღმერთი
38. მოგებული პარტია ნარდში
39. მკერდის კორექციის მასალა
40. პოლიტიკოსი ინდირა ...
41. ნიავი
42. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
43. ჯუჯა ჟირაფი
44. დასასვენებელი დაწესებულება
45. დროის უკმარისობა ჭადრაკში
46. „დორიან ... პორტრეტი“
47. მიწის ფართობის ერთეული
48. აზოტმჟავის მარილი
49. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
50. „... რა ჰქმნა?“
51. შენობის მუყაოს მოდელი
52. ანკესის ნაწილი
53. ხორბლის ჯიში
54. რეჟისორი ... დე ბონტი
55. რუკების კრებული
56. თაღი
57. მსახიობი ... თბილელი
58. მდინარე გერმანიაში
59. ნავსადგური
60. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
61. თეთრგვარდიელი გენერალი
62. ტალახი
63. მსახიობი ... არტმანე
64. მსახიობი ჟერარ ...
65. რეჟისორი ფრანკო ...
66. მზესუმზირის ტკბილეული
67. სახსრების ანთება
68. შინაური ცხოველი
69. მსახიობი ... მარტინი
70. მსახიობი არკადი ...
71. იტალიელი კომპოზიტორი
72. თავის ჩონჩხი
73. ქიმიური ელემენტი
74. ჯუჯა ცხენი
75. მდინარე ჩინეთში
76. ბუდისტი მასწავლებელი
77. 100 კაპიკი
78. დამპყრობელი ... კორტესი
79. ქართ. ანბანის ბოლო ასო
80. რიცხვი ექვსი ნულით
81. ახალი ზელანდიის მკვიდრი
82. მწერალი ... ტვენი
83. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
84. პარაზიტი მცენარე
85. შიიზმის მიმდევარი
86. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
87. „... იწრთობოდა ფოლადი“
88. მსახიობი ... ფერტი
89. ფოლადის სადნობი ღუმელი
90. მდინარე თბილისში
91. ყველაზე რბილი მინერალი
92. ვერცხლისწყალი
93. ჩინეთის დიდი ...
94. გაფუჭებული კვერცხი
95. ვირას საპირისპირო ბრძანება
96. მსახიობი ... რობერტსი
97. მაგიდის მოძრავი ნაწილი
98. კარგად მოარული ცხენი
99. მსახიობი ბრედ ...
100. ბურუსი
101. მსახიობი შერონ ...
102. ილია ჭავჭავაძის ლექსი
103. სახელმწიფო სამხ. ამერიკაში
104. მომღერალი ბობ ...
105. ჯერ შრომა, ... ხტომა
106. მობილურების ფირმა
107. დიუმა. „... დე მონსორო“
108. მსახიობი ... რაიანი
109. საიუველირო ქვა
110. ქართ. ეპოსის გმირი
111. რაველის პიესა
112. წამწამის ძირის ანთება
113. ბოსტნეული
114. აკაკი წერეთლის ლექსი
115. ჩანჩქერი აშშ-ში
116. კომპოზიტორი ... პაულსი
117. წყალქვეშა ჭურვი
118. სამშენებლო მასალა
119. სტადიონი ერევანში
120. სრული გამარჯვება ძიუდოში
121. შალის საპალტოე ქსოვილი
122. გეომეტრიული ფიგურა
123. საბჭოთა პერიოდის ხუთიანი
124. მსახიობი ... როკი
125. ... მოგივა დავითაო
126. მით. ქალი ჯადოსნ. ხმით
127. სიო
128. ერთგვარი პალმა
129. მსახიობი ... მონტანი
130. ... ჩიბურდანიძე
131. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში
132. მსახიობი ... ჰეპბერნი
133. ლატვიის დედაქალაქი
134. იტალიური ღვეზელი
135. აივენჰოს სატრფო
136. ბულგარელი ნათელმხილველი
137. მომღერალი ... მჟავია
138. ყვავილი
139. დასარტყამი საკრავი
140. კუნძული ინდონეზიაში
141. შტატი აშშ-ში
142. მსახიობი ვივიენ ...
143. ციებ-ცხელება
144. სახის ნაწილი

პასუხები: 1. ბარათაშვილი; 2. სართიჭალა; 3. ტარივერდიევი; 4. „დრაკულა“; 5. არმავირი; 6. რიგითი; 7. ველასკესი; 8. რედიკიული; 9. ამსტერდამი; 10. რეკორდი; 11. ედი; 12. ბოლიდი; 13. ვასაკა; 14. დუმა; 15. ვილა; 16. შამათი; 18. ხმიადი; 19. ავი; 20. ლუი; 21. ორნამენტი; 22. ნიანგი; 23. ვანილი; 24. ქერამი; 25. დავთარი; 26. ვისოცკი; 27. ურემი; 28. ფინია; 29. იუნონა; 30. თინათინი; 31. როკი; 32. კლიტე; 33. მინარეთი; 34. სვე; 35. დასავლეთი; 36. ნასკა; 37. ირიდა; 38. ოინი; 39. სილიკონი; 40. განდი; 41. სიო; 42. ათი; 43. ოკაპი; 44. სანატორიუმი; 45. ცაიტნოტი; 46. გრეის; 47. აკრი; 48. ნიტრატი; 49. სტაფილოკოკი; 50. იავნანამ; 51. მაკეტი; 52. ტივტივა; 53. იფქლი; 54. იან; 55. ატლასი; 56. არკა; 57. მარინე; 58. რაინი; 59. პორტი; 60. სიასამური; 61. ვრანგელი; 62. ლაფი; 63. ვია; 64. ძეფირელი; 66. ჰალვა; 67. ართრიტი; 68. თხა; 69. სტივ; 70. რაიკინი; 71. როსინი; 72. ქალა; 73. ნატრიუმი; 74. პონი; 75. იანძი; 76. გურუ; 77. მანეთი; 78. ერნან; 79. ჰაე; 80. მილიონი; 81. მაორი; 82. მარკ; 83. სამარა; 84. ტკიპა; 85. შიიტი; 86. სოკრატე; 87. როგორ; 88. კოლინ; 89. მარტენი; 90. მტკვარი; 91. ტალკი; 92. სინდიყი; 93. კედელი; 94. ლაყე; 95. მაინა; 96. ერიკ; 97. უჯრა; 98. იორღა; 99. პიტი; 100. ნისლი; 101. სტოუნი; 102. „ელეგია“; 103. ბრაზილია; 104. მარლი; 105. მერე; 106. „ნოკია“; 107. გრაფინია; 108. მეგ; 109. ქარვა; 110. ამირანი; 111. „ბოლერო“; 112. ჯიბლიბო; 113. კიტრი; 114. „ღამურა“; 115. ნიაგარა; 116. რაიმონდ; 117. ტორპედო; 118. კირი; 119. რაზდანი; 120. იპონი; 121. დრაფი; 122. რომბი; 123. ფრიადი; 124. მარიკა; 125. რაც; 126. სირინოზი; 127. ნიავი; 128. რაფია; 129. ივ; 130. მაია; 131. მირაჟი; 132. ოდრი; 133. რიგა; 134. პიცა; 135. როენა; 136. ვანგა; 137. ანანო; 138. ია; 139. დოლი; 140. იავა; 141. ილინოისი; 142. ლი; 143. მალარია; 144. ყბა. იკითხება: თუთიყუში.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## თავბრუსხვევა - 20 დაავადების სიმპტომი



ადამიანი ყველაფერს ეგუება, მუდმივ დისკომფორტსა და ტკივილებსაც კი, თუმცა უსაზღვროდ რთულია თავბრუსხვევასთან დამეგობრება. სანამ მიეჩვევით, წაიქცევით, ხოლო თუ წაიქეცით, ტრავმები გარანტირებულია. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაში ტრავმები სულაც არ არის მთავარი, რადგან თავბრუსხვევა შეიძლება მინიმუმ 20 დაავადების სიმპტომი იყოს.

სპეციალისტების განმარტებით, ყველაზე ხშირად ეს უსიამოვნება ცვალებადი ამინდის დროს ხდება, როცა მკვეთრად იცვლება ტემპერატურა, წნევა და უეცრად ძლიერი ქარი ამოვარდება ხოლმე. ამ დროს ყველაზე ხშირად თავბრუსხვევა აწუხებთ ჰიპერტონიისკენ ან ათეროსკლეროზისკენ მიდრეკილ ადამიანებს. ჩამონათვალში შემდეგია: შაკიკი და ოსტეოქონდროზი, ეპილეფსია და ინსულტი, სიმსივნე და მოკლედ, კიდევ არაერთი უსიამოვნება.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სპეციალისტების კატეგორიული რეკომენდაციაა, ხშირი თავბრუსხვევების შემთხვევაში ადამიანი აუცილებლად მივიდეს ექიმთან, რათა რომელიმე რთული დაავადების განვითარება დროულად იქნეს აღკვეთილი.

*nebolei.com.ua*

## რადგან ცოლი გალახე, სიდედრს სახლი გაურემონტეო...



ნეტავ, იმ ესტონელი მოსამართლის ტვინში ჩაგვახედა, ქალაქ რაკვერეს მკვიდრ 45 წლის მამაკაცს, ვინმე ვალოს მეუღლის ცემის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად სიდედრისთვის სახლის გამორემონტება რომ დაავალა.

თურმე, ესტონელმა მამაკაცმა ცოლი იმდენად სერიოზულად გალახა, რომ საცოდავი ქალი რამდენიმე კვირა საავადმყოფოშიც კი მკურნალობდა და იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებული სასამართლოში სარჩელის შეტანას ვერ შეძლებდა, ეს მისია საკუთარ თავზე ვალოს სიდედრმა აიღო.

ჰოდა, გაქნილმა სიდედრმა გადაწყვიტა მომხდარით, პირველ რიგში, თავად ესარგებლა და სასამართლოსგან მოითხოვა, მისი აგრესორი სიძისთვის სახლის გარემონტება დაევალებინა და ეს მოთხოვნა, როგორც უკვე გითხარით, მოსამართლემ დააკმაყოფილა კიდეც.

როგორც ჩანს, საცოდავ მოსამართლეს უკვე გამოცდილი უნდა ჰქონდეს სიდედრის მარჯვენა და თავს ზემოთ რომ ძალა არ არის, რა ექნა იმასაც...

*etotupo.ru*

## დანიაში განთიადის მოძულეთა საზოგადოება ჩამოყალიბდა



იმდენი უაზრო ორგანიზაცია იქმნება, მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ჰოდა, მოდით, ერთ კონკრეტულზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას და გეტყვით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ დანიაში ჩამოყალიბდა მოძრაობა თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის წარმომადგენლებიც თავიანთ თავს განთიადის მოძულეებს უწოდებენ და ამბობენ, რომ დილა შექმნილია მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანმა იძინოს, მუშაობა კი დღის მეორე ნახევარშიც მშვენივრად მოესწრებაო.

აღსანიშნავია, რომ განთიადის მოძულე დანიელები თვალის დასანახად ვერ იტანენ ადამიანებს, რომლებსაც დილაადრიან ადგომა ხიბლავთ და „ჩასარეცხებსაც“ უწოდებენ, ოღონდ, რა თქმა უნდა, თავისებურად.

როგორც მოძრაობის აქტივისტი კამილა კრინგი განმარტავს, ძალიანაც შრომისმოყვარე კი არის, მაგრამ ურჩევნია, დილით გემრიელად გამოიძინოს და სამსახურში დასიებული და დაწითლებული თვალებით არ იაროს.

*etotupo.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**17 ივნისი:** მოერიდეთ ფაციფუცს და აფორიაქებულ ადამიანებს. ეს თავის ტკივილის მეტს არაფერს მოგიტანთ. ყველაფერი იღონეთ, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

**კურო 22.04-21.05**
**17 ივნისი:** შეიძლება დღეს დახმარება დაგჭირდეთ. მასზე უარის თქმა რაიმე მოტივით, უაზრობა იქნება. მადლობის თქმა არ დაგავიწყდეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**17 ივნისი:** სანამ ამა თუ იმ საკითხის მოგვარებას დაიწყებთ, ბლოკნოტში ჩაიხედეთ და ჩანაწერები შეამოწმეთ, შეიძლება პასუხი იქ აღმოაჩინოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**17 ივნისი:** სასიამოვნო დღე გელით. საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისგან თავი შეიკავეთ. სასურველია, გაერთოთ და დაისვენოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**17 ივნისი:** პროვოკაციაზე ადვილად წამოეგებით, ამიტომ ეს დღე შეიძლება კამათში გაატაროთ. კარგი იქნება, თუკი ზოგიერთ საკითხს იუმორით შეხედავთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**17 ივნისი:** რაღაცა მიზნის მისაღწევად შეიძლება ძალიან დიდი ძალისხმევა დაგჭირდეთ, მაგრამ საეჭვოა, შედეგი მიიღოთ. იქნებ ამ საქმეს ხელი არ მოჰკიდოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**17 ივნისი:** მოიცილეთ ადამიანები, რომლებიც აშკარად ცდილობენ თქვენი ენერგიით კვებას. შეეცადეთ, ისეთი საქმე აკეთოთ, გონებრივ დაძაბულობას რომ არ მოითხოვს.

**მორიელი 23.10-21.11**
**17 ივნისი:** ურიგო არ იქნება, თუკი შეამოწმებთ რამე ხომ არ გაქვთ გადასახდელი, ან ვინმეს ვალი ხომ არ გაქვთ დასაფარი. თუ ამას დღეს არ იზამთ, მომავალში პრობლემებს დაიმძიმებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**17 ივნისი:** შეიძლება დღეს საკუთარ თავში დარწმუნებული არ იყოთ, მაგრამ ამავე დროს, რაც ხდება, იმით აღფრთოვანდებით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**17 ივნისი:** სავარაუდოდ, დღეს ცვალებად განწყობაზე იქნებით. ამიტომ ეს დღე ისეთ ადამიანთან ერთად გაატარეთ, ვისაც თქვენი გაგება შეუძლია.

**მერწყული 20.01-18.02**
**17 ივნისი:** თუ დღეს ვინმესთან კამათი მოგივათ, საკმაოდ დამაჯერებელი და არგუმენტირებული იქნებით. რამე რომ შეგეშალოთ კიდეც, ამას ვერავინ შეამჩნევს.

**თევზები 19.02-20.03**
**17 ივნისი:** დღეს თვითკრიტიკული იქნებით. თქვენი რჩევების გაუთვალისწინებლობის გამო ვინმე უსიამოვნო სიტუაციაში რომ აღმოჩნდეს, ამაშიც თავს დაიდანაშაულებთ. რა გაეწყობა, ეს დღე უნდა გადააგოროთ.

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს
ანაზღაურება 640 ლარიდან

გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.
ანაზღაურება 800 ლარი

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## კოსმოსში ხმაურის გამო მეცნიერებმა „ნასას“ შენიშვნა მისცეს



ალბათ, ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური მოვლენაა, როდესაც ვინმე ხმაურობს, თქვენ კი ამის გამო ნერვები გეშლებათ, მაგრამ როგორ შეიძლება ჯერ კოსმოსში ხმაური და შემდეგ კი ამით შორეული ვარსკვლავებისთვის ან „ნერვების მოფუტკვნა“, ან კიდევ დაზიანება?! თუმცა, ადამიანს ხომ ყველაფრის გაფუჭების უნიკალური თვისება აქვს და როგორც კალიფორნიის ასტროლოგიის უნივერსიტეტის პროფესორი დუგლას ვაკოკო ამტკიცებს, „ნასას“ მიერ პოლარული ვარსკვლავისკენ გაგზავნილი უმძლავრესი საინფორმაციო სიგნალი, რომელიც თავის თავში „ბითლზის“ ერთ-ერთ ცნობილ სიმღერას წარმოადგენს, კოსმოსს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

როგორც დუგლას ვაკოკო ამბობს, კოსმოსი სავსეა კაცობრიობისთვის ამ დრომდე უცნობი ცივილიზაციებით, რომლებმაც შესაძლოა, „ბითლზის“ კომპოზიცია თავდასხმად ან სხვა უარყოფით მოვლენად აღიქვან და დედამიწას დიდი განსაცდელი მოუვლინონ.

– იმ დრომდე, სანამ კოსმოსში ჩვენს შესახებ ვინმეს ინფორმაციას მივაწვდით, ჯერ თავად უნდა ვფლობდეთ იქაურობაზე ამომწურავ ცნობებს და გაცნობიერებული გვქონდეს მოსალოდნელი საფრთხე, – ამბობს ამერიკელი მეცნიერი.

გარდა იმისა, რომ ვაკოკოს გაფრთხილება „ნასას“ დაუფიქრებლობაზე მიგვანიშნებს, იმის დასკვნაც შეიძლება, რომ არსებობენ მეცნიერები, რომლებიც გალაქტიკაში სხვა ცივილიზაციების არსებობის ჰიპოთეზას ემხრობიან და აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ეს სამყარო მხოლოდ ადამიანებს არ გვეკუთვნის...

*ufolog.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ხრუშჩოვი ერთ-ერთ სოფელს ეწვია და ღორების ფერმა მოინახულა.

ადგილობრივ გაზეთში ჟურნალისტებს შორის კონკურსი გამოცხადდა, ვინ უფრო უკეთეს მინაწერს მოიფიქრებდა ფოტოსთვის.

ვერსია უამრავი იყო: „ხრუშჩოვი ღორებს შორის“, „ღორები და ხრუშჩოვი“, „ხრუშჩოვი და ღორები“, თუმცა გამარჯვება შემდეგ მინაწერს ხვდა წილად:

„მარჯვნიდან მეორე ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი“...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან -ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.50